გიგი თევზაძე

ათი წერილი მკითხველს
განათლებული პატრიოტიზმის შესახებ

კრიტიკული აზროვნების სკოლის წიგნები

გიგი თევზაძე

ათი წერილი მკითხველს

განათლებული პატრიოტიზმის შესახებ

თბილისი 2022

გიგი თევზაძე
ათი წერილი მკითხველს განათლებული პატრიოტიზმის შესახებ
გამომცემელი: ნინი ჭაჭია
ტექსტის რედაქტორები: თათია გიგანი, თინათინ ქავთარაძე
გარეკანის მხატვარი: თათია გიგანი
ტექსტი © გიგი თევზაძე, 2022
ყველა უფლება დაცულია
Gigi Tevzadze
Ten Letters to the Reader on Educated Patriotism
Editor: Nini Chachia
Text editors: Tatia Gigani and Tinatin Kavtaradze
Cover designer: Tatia Gigani
Text © Gigi Tevzadze, 2022
All rights reserved

სარჩევი:

წერილი პირველი: შესავალი 5

პირველი წერილის დანართი: თბილისი და ხოხობი 12

წერილი მეორე: განათლებული პატრიოტიზმი: განმარტება 16

მეორე წერილის დანართი: საქართველოს მთა - დარიალის ხეობა 20

წერილი მესამე: რისთვის არის საჭირო განათლებული პატრიოტიზმი 26

მესამე წერილის დანართი: საქართველოს მთა - არღუნის ხეობა 30

წერილი მეოთხე: განათლებული პატრიოტიზმი VERSUS სამოქალაქო პატრიოტიზმი 34

მეოთხე წერილის დანართი: „აბრეშუმის“ გზა, კლდეკარის ციხე და ვახტანგ გორგასალი 36

წერილი მეხუთე: განათლებული პატრიოტიზმი VERSUS ეთნიკური პატრიოტიზმი 40

მეხუთე წერილის დანართი: ვაჭრობა და რაინდები 42

წერილი მეექვსე: განათლებული პატრიოტიზმი VERSUS რელიგიური პატრიოტიზმი 47

მეექვსე წერილის დანართი: შავი ზღვა 49

წერილი მეშვიდე: განათლებული პატრიოტიზმი VERSUS ნიჰილისტური პატრიოტიზმი 54

მეშვიდე წერილის დანართი: ევროპა და საქართველო 56

წერილი მერვე: განათლებული პატრიოტიზმი, როგორც პოლიტიკის მიზანი 61

მერვე წერილის დანართი: რეგიონები და ცენტრები 63

წერილი მეცხრე: დასკვნითი წერილი განათლებული პატრიოტიზმის შესახებ 68

მეცხრე წერილის დანართი: რუსეთთან ურთიერთობა 70

წერილი მეათე: თანამედროვე საქართველოს ცხოვრების საბჭოთა წესი: პლაგიარიზმი 79

მეათე წერილის დანართი: ქრისტიანობა და საქართველო 84

წიგნები, რომელიც პირველ რიგში უნდა წაიკითხო, თუკი ამ წერილებმა დაგაინტერესა 91

წერილი პირველი: შესავალი

გამარჯობა,

ამ და მომდევნო წერილებში მინდა „განათლებული პატრიოტიზმის“ შესახებ გელაპარაკო. შეიძლება მოგეჩვენოს, რომ „განათლებული პატრიოტიზმი“ უცნაური ცნებაა. ჩვენს, ქართველების, გაგებაში პატრიოტიზმი ხომ ძირითადად „თანშობილს“, „დედის რძესთან ერთად შესისხლხორცებულს“, „ნამდვილი ქართველებისათვის აუცილებელს“ ნიშნავს.

თუმცა ეს ასე არაა: ის, რასაც ჩვენ დღეს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც პატრიოტიზმს ვუწოდებთ, კონკრეტული საგანმანათლებლო სტრატეგიითაა მიღებული და ის ყველამ ვიცით იმის გამო, რომ ის ყოველ ჩვენგანში კონკრეტული, ფორმალური ან/და არაფორმალური საგანმანათლებლო ნაკადით შემოდის, იმისდა მიუხედავად, ვემხრობით ამ იდეას თუ არა.

ამ საგანმანათლებლო სტრატეგიას, რომელიც ჩვენსა და გარემომცველი ადამიანების თავებში პატრიოტიზმის, ანუ, სამშობლოს მხარეს დგომის, სამშობლოს დიდი მნიშვნელობის იდეებს ნერგავს, ადამიანები ნებსით თუ

უნებლიეთ, ზოგჯერ სპონტანურად, ზოგჯერ კი გაცნობიერებული მიზნებით აყალიბებენ და უძღვებიან.

თუმცა, ისიც არაა დასამალი, რომ ამ ბოლო დროს პატრიოტიზმი საქართველოში დაბალი ღირებულების ცნება გახდა: ამის მიზეზი ბევრია: მემარცხენეობა, რომელიც ერებს კაპიტალისტური წყობის პროდუქტად მიიჩნევს; მემარჯვენეობა, რომელიც ერებს წარსულის გადასალახ პროდუქტად აღიქვამს; ინტელექტუალური კოსმოპოლიტობა, რომლის კრედოა ნაციონალური კუთვნილების გაუთვალისწინებლად ცოდნისა და მოქმედების კონსტრუირება; რადიკალური მემარჯვე-ნეობა, რომელიც პატრიოტიზმს ექსტრემიზმსა და რუსეთთან დაქვემდებარებულ დამოკიდებულებას უკავშირებს. ქართული „ოფიციალური“ რელიგია, რომლის მიხედვითაც ეროვნულობა და პატრიოტიზმი მართლმადიდებლობასაა დაქვემდებარებული, შესა-ბამისად რუსები და ქართველები (ორი ერი) მართლმადიდებლობაში ქმნიან ერთობას და ა.შ.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მემარცხენე მკვლევრები ერის შესახებ, როგორც კაპიტალიზმის ექსკლუზიური კონსტრუქციის შესახებ, მსჯელობდნენ, დღეს უკვე ცხადი ხდება, რომ დღევანდელი მნიშვნელობით „ერი“

არა კაპიტალიზმის, არამედ, საყოველთაო განათლების/განმანათლებლობის პროდუქტია, ხოლო ის სოციალური თეორია, რომელიც აღიარებს სახელმწიფოში საყოველთაო განათლების შესაძლებლობის არსებობის აუცილებლობას და უარყოფს ერის მნიშვნელობას, უბრალოდ წინააღმდეგობრივია.

ამის შესახებ შემდგომ წერილებში უფრო ფართოდ გვექნება მსჯელობა. იდეა, რის გამოც ამ წიგნს ვწერ, შემდეგია: ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება საზოგადოებრივია. შესაბამისად, მისი ბუნება უფრო პროტექციონისტულია, ვიდრე ანტი-პროტექ-ციონისტული: უფრო მარტივად, ეს ნიშნავს, რომ ადამიანი გენეტიკურადაა მიმართული საკუთარი, უშუალო საზოგადოება სხვებთან შეადარებით უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენოს. ამიტომაცაა, რომ ერი თანამედროვე სახელმწიფოს აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, ხოლო ბედნიერებისა და თავისუფლების მაქსიმალური შესაძლებლობა თანამედროვე ადამიანს მხოლოდ საკუთარ სამშობლოში ეძლევა.

უფრო ზუსტად რომ მოვახდინოთ ამის ფორმულირება: მხოლოდ სამშობლო-სახელმწიფოშია შესაძლებელი ადამიანს ჰქონდეს ბედნიერებისა და თავისუფლების მიღწევის მაქსიმალური შესაძლებლობა. ცხადია, ეს პიროვნების არჩევანის საგანია, და არა აუცილებელი მდგომარეობა. ამის საპირისპირო არჩევანიც სრულიად ლეგიტიმურია, ოღონდ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში, განათლებული პატრიოტიზმის საპირისპირო პოზიციაზე მდგომმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ყველგან სხვაგან მისი ბედნიერების და თავისუფლების შესაძლებლობა არ იქნება მაქსიმალური.

საკუთარი თავისთვის და შესაბამისად, სხვებისთვის ბედნიერებისა და თავისუფლების მაქსიმალური შესაძლებლობის მოპოვებას განაპირობებს განათლებული პატრიოტიზმი. არა ისეთი, რომელიც, საქართველოს შემთხვევაში მოუხეშავად და იდეოლოგიურად დაწერილ სასკოლო სახელმძღვანელოებსა და პრო-რუსულ მემარჯვენე იდეოლოგიას ეყრდნობა, არამედ ისეთი, რომელიც საკუთარ ადგილს ნათლად ხედავს საკუთარი სამშობლო-სახელმწიფოს დღევანდლობაში და ხვალინდელ დღეში და აქვს წარმოდგენა, როგორ არის

შესაძლებელი საკუთარი და ამიტომაც, სხვებისაც, ბედნიერებისა და თავისუფლების პირობების მოპოვება და გაუმჯობესება. ამ შემთხვევაში კრიტიკული პატრიოტიზმი და განათლებული პატრიოტიზმი იდენტური ცნებებია.

მომდევნო წერილები ამ, განათლებული პატრიოტიზმის ცნების შესახებ იქნება: რატომ არის ის აუცილებელი და გარდაუვალი ინდივიდის მაქსიმალურად შესაძლებელი თავისუფლებისათვის და ბედნიერებისათვის; ასევე, როგორ არის შესაძლებელი განათლებული პატრიოტიზმის იდენტობის კონსტრუირება ჩვენს და ჩვენი თანამოქალაქეების თავებში.

ვერ ვიტყვი, რომ ეს დილემა „პატრიოტობა/არაპატრიოტობა“ არ დგას დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ელიტების წინაშე: ფაქტია, რომ ეკონომიკური და პიროვნული თავისუფლების დაპირება არ მუშაობს, როგორც პიროვნული ბედნიერებისა და არც, როგორც სახელმწიფოს მაკონსტრუირებელი ფაქტორი. ასევე, არც ანალოგიებით მსჯელობა, რომელიც მარტივად დაიყვანება ფრაზებზე „ჩვენთან იქნება ისევე, როგორც

ევროპაში“, ან, „ჩვენთან იქნება ისევე, როგორც რუსეთში“.

ამიტომ, დღეს ჩვენ, ქართველები, ეროვნული კრიტიკული იდენტობის კონსტრუირების ამოცანის წინაშე ვდგავართ. ოღონდ, არა დოგმატურის, როგორც ეს აქამდე იყო ან გვეგონა, არამედ, კრიტიკულის, განათლებულის. რას ნიშნავს ასეთი იდენტობა, მოგიყვები მომდევნო წერილებში.

ცოტა რომ ჩაუფიქრდე, მიხვდები, რომ განათლებულობა და კრიტიკულობა, რაც ხშირად ერთი და იგივეა, ნიშნავს კითხვების დასმის და ამ კითხვებზე პასუხის გაცემის ხელოვნების ცოდნას. თავად ის ამბავი, რატომ ვფლობთ მხოლოდ ადამიანები კითხვის დასმის ხელოვნებას და სხვა ცხოველები, თუნდაც ჩვენი ენის მცოდნენი (თუთიყუშები, მაიმუნები, ვისაც შეუძლია სალაპარაკო, ან ნიშნების ენა ისწავლოს) არა, საინტერესო საკითხია მაგრამ ახლა ამის შესახებ არ ვილაპარაკებთ. ძირითადი კითხვა კი სულ ოთხია, რაც ადამიანს მოუფიქრებია ადამიანობის გაჩენიდან, დღემდე:

რატომ?

რისთვის?

როგორ?

სად (როდის)?

ეს ოთხი კითხვა კი, როდესაც საქართველოსთან დაკავშირებულ იდენტობის საყრდენების შესახებ ვსაუბრობთ, ასე ითარგმნება:

რატომ არსებობს ეს ინფორმაცია, ანუ, რა გახდა ამ ინფორმაციის წარმოქმნის მიზეზი?

რისთვის არსებობს ეს ინფორმაცია, ანუ, რა არის ამ ინფორმაციის მიზანი?

როგორ არსებობს ეს ინფორმაცია: როგორც ისტორია, როგორც მითი, როგორც ზღაპარი, როგორც ჭორი თუ როგორც რაიმე სხვა?

სად არსებობს ეს ინფორმაცია, ანუ, შეგვიძლია თუ არა მისი ნამდვილობა/არანამდვილობის დასაბუთება, თუ ამას ვერასოდეს ვერ შევძლებთ?

ამ და ყოველი შემდგომი წერილის ბოლოს, დავარქვათ მას წერილის მეორე ნაწილი, წერილის დანართი, განვიხილავ შენთვის კარგად ნაცნობ ამბებს ამ ოთხი კითხვის დახმარებით. ეს ის გზაა, რომელსაც, ჩემი აზრით, განათლებულ პატრიოტიზმამდე მივყავართ: ეს

გზა უნდა დაგვეხმაროს იმის გაგებაში, როგორ უნდა მოვიქცე ჩემს სამშობლოში ისე, რომ ბედნიერებისა და თავისუფლების მიღწევის მაქსიმალური შესაძლებლობა მოვიპოვო. ამიტომ, ყოველი წერილის დანართის დასაწყისში ჯერ ჩამოვწერ საყოველთაოდ გავრცელებულ აზრებს ამა-თუ-იმ, ჩემი აზრით, განათლებული პატრიოტიზმისათვის მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ და შემდეგ, შევეცდები მის განხილვას კრიტიკული მიდგომით.

პირველი წერილის დანართი: თბილისი და ხოხობი

ვახტანგ გორგასალი ნადირობდა, მისი მონადირე ფრინველი დაედევნა ხოხობს, ორივე წყალში ჩავარდა. ვახტანგმა ნახა, რომ წყალი ცხელი იყო და ამ ადგილას თბილისი დააარსა.

როგორც ზღაპარს, ამ ლეგენდას არა უშავს, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ეს ლეგენდა გორგასლის ცხოვრებისა და თბილისის დაარსების ჩვეულებრივ ამბად იქცა. სასკოლო სახელმძღვანელოების გარდა, თუ ვიკიპედიას გახსნი, იქაც ასე წერია: გორგასალი იყო ასეთი და ასეთი,

იბრძოლა აქა და აქ, ააშენა ესა და ეს, და უცბად: ხოხბის წყალში ჩავარდნის ადგილას ააშენა ქალაქი.

როგორ ფიქრობ, თუნდაც დიდი რაოდენობის ცხელი წყლის არსებობა საკმარისი არგუმენტია ქალაქის ასაშენებლად რამდენიმე ათეული მილიონის ინვესტიციისათვის? და მით უმეტეს, შემდეგ, ამ ახლად აშენებული ქალაქისთვის დედაქალაქის ფუნქციის მისანიჭებლად? ცხადია, არა. მაშინ, რა მოხდა? რამ განაპირობა თბილისის გაშენება და შემდეგ, მცხეთიდან მასში ქვეყნის მთავარი ქალაქის გადმოტანა?

ბერძენი, რომაელი და აღმოსავლელი ისტორიკოსები წერდნენ, რომ მცხეთაში თავს იყრიდა ყველა სავაჭრო გზა, რომელიც დასავლეთისკენ მიემართებოდა. შესაბამისად, მცხეთა იმიტომაც იყო ქვეყნის მთავარი ქალაქი, რომ ის, თანამედროვე გაგებით, „ჰაბს“ წარმოადგენდა აღმოსავლეთიდან დასავლეთით მიმავალი ქარავნებისათვის. შესაბამისად, ის მისი დროის უმდიდრესი ქალაქი უნდა ყოფილიყო. მთავარი სავაჭრო გზა, თუკი დაფიქრდები, მიხვდები რომ მცხეთიდან ჩრდილო აღმოსავლეთით უნდა წასულიყო. აბა, ისე რა აზრი ჰქონდა კასპიის ზღვის სამხრეთიდან

წამოსულ ქარავანს გამოევლო თბილისისა და რუსთავის ტერიტორიები გამოევლო და მცხეთაში ჩასულიყო?

როგორც ჩანს, ეს გზა მცხეთიდან ჯერ დუშეთში, ან ხევში, აქედან კი რაჭაში გადადიოდა და სვანეთის გავლით ხვდებოდა შავ ზღვაზე, სადაც საქარავნე ტვირთი გემებზე იტვირთებოდა და აგრძელებდა გზას შავი ზღვით, მის დასავლეთ და სამხრეთ დასავლეთ სანაპიროებისკენ.

მაგრამ, რას შეეძლო გამოეწვია გორგასალის მიერ ასეთი მნიშვნელოვანი ქალაქის დატოვება და ახალ ქალაქში გადასვლა? ალბათ მხოლოდ იმას, რომ მცხეთა ვეღარ ასრულებდა მთავარი სავაჭრო ქალაქის ფუნქციას. ეს კი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მომხდარიყო, თუკი აცივდებოდა და სვანეთზე გამავალი გზა წელიწადის დიდ პერიოდებში ჩაიკეტებოდა ქარავნებისათვის.

ეს მართლაც ასე მოხდა: მსოფლიოში მცირე გამყინვარება, რომელიც ე.წ. რომაულ თბილ პერიოდს მოჰყვა, V საუკუნეში დაიწყო. ზუსტად იმ დროს, როდესაც ვახტანგ გორგასალი მეფობდა საქართველოში. ვფიქრობ, ხვდები, რომ თბილისში ქვეყნის ცენტრის გადმოტანა სავაჭრო გზის ცვლილებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული, იქ, სადაც მომდევნო

საუკუნეები გადიოდა მთავარი სავაჭრო გზა დასავლეთისკენ: თბილისიდან მანგლისისა და კლდეკარის გავლით, ჯავახეთის ზეგნის გზით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებზე, სადაც ტვირთი გემებში თავსდებოდა. ან, ხმელეთით მიდიოდა სამხრეთის, ე.წ. წინა აღმოსავლეთის ქვეყნებისკენ და დასავლეთით - ცენტრალური ევროპის ტერიტორიებისკენ.

თუმცა, თუკი შენ, ამ წერილის მკითხველი, კლდეკარში ნამყოფი ხარ, ისიც გეცოდინება, რომ კლდეკარის გასასვლელი ხელოვნურია, ხელით არის გამოჭრილი ორი დიდ კლდეში. და ასევე იცი, რომ ის თამარ მეფის დროს გაიჭრა. ეს უკვე სხვა ისტორიაა და ამის შესახებ მომდევნო წერილებში მოგიყვები.

წერილი მეორე: განათლებული პატრიოტიზმი: განმარტება

გამარჯობა,

როგორც უკვე მოგწერე, განათლებული პატრიოტიზმი ახალი ცნებაა. მისი საფუძველი განმანათლებლური პატრიოტიზმის ცნებაშია (ინგლისურად ENLIGHTENED PATRIOTISM): ეს ცნება გამოიყენებოდა ევროპული განმანათლებლობიდან წარმოშობილი პატრიოტიზმის/ნაციონალიზმის აღსანიშნავად: ევროპული განმანათლებლობა, როგორც მიმდინარეობა მჭიდროდაა დაკავშირებული ერის თანამედროვე ცნების წარმოშობასთან - კონკრეტულად, ისტორიაში ხალხის როლის ხაზგასმასთან, ხალხთა ისტორიის მნიშვნელობასთან და საბოლოოდ, ყოველი ადამიანის კონკრეტული ერის წარმომადგენლად თვითიდენტიფიკაციასთან.

XXI საუკუნეში რამდენიმე ავტორი ცდილობს განმანათლებლურ პატრიოტიზმს ახალი შინაარსი შესძინოს: ეს ახალი შინაარსი დაკავშირებულია თანამედროვე სამყაროში ამერიკის შეერთებული შტატების როლის ახლებურ გააზრებასთან და ახალი იდენტობის შექმნასთან მსოფლიოში ზრდადი

ექსტრემიზმის და ტერორიზმის ფონზე. ამ შემთხვევაში განმანათლებლური პატრიოტიზმი გულისხმობს აშშ-ს როლის გადააზრებას მსოფლიო კონტექსტში და მისი მოქალაქეების ახალი როლის თუ მისიის ფორმულირებას.

თუმცა, განათლებული პატრიოტიზმის (ინგლისურად, EDUCATED PATRIOTISM) შინაარსი, როგორც მე მას ვიყენებ, ეს არ არის. განათლებული პატრიოტიზმი ნიშნავს:

1. გაცნობიერებას, რომ თუკი გსურს შენს ცხოვრებაში მაქსიმალურ თავისუფლებასა და ბედნიერებას მიაღწიო, ეს მხოლოდ შენს სამშობლო-სახელმწიფოშია შესაძლებელი; ეს მიზანი შეიძლება რთული აღმოჩნდეს, რადგანაც, ამ გადაწყვეტილების მომენტში შენი სამშობლო-სახელმწიფო შეიძლება ბედნიერებისა და თავისუფლების უმცირეს შესაძლებლობასაც არ გთავაზობდეს;

2. ცოდნას, რომ მხოლოდ კრიტიკული მიდგომით შეგიძლია გაერკვე იმ პრობლემებში, რომლებიც შენი სამშობლო-სახელმწიფოს წინაშეა და რაც ხელს გიშლის შენ და შენს თანამოქალაქეებს გქონდეთ ბედნიერებისა და თავისუფლების მაქსიმალური შესაძლებლობა:

ამისათვის კი ყველაზე მოკლე გზაა არსებულ, გავრცელებულ იდენტობაში კრიტიკული გარკვევა;

3. კრიტიკული მიდგომის შედეგად ფორმულირებას, თუ რას ნიშნავს შენი სამშობლო-სახელმწიფო შენთვის, როგორც ბედნიერებისა და თავისუფლების შესაძლებლობის ინსტრუმენტი: რა არის მის ისტორიასა და აწმყოში ის, რაც ამას ხელს უწყობს, და რა არის ის, რაც ხელს უშლის;

4. მოქმედების გეგმას, როგორ უნდა მიაღწიო შენი სამშობლო-სახელმწიფოს ქცევას საკუთარი და შესაბამისად, სხვა შენი თანამოქალაქეების ბედნიერებისა და თავისუფლების მაქსიმალურ შესაძლებლობის პირობად.

ცხადია, აქ უცბად მკითხავ: ხომ შეიძლება ჩემი თავისუფლება და ბედნიერება ისე დავგეგმო, რომ ის სხვისი ტანჯვისა და მონობის ხარჯზე განვახორციელო? აქ უნდა შევთანხმდეთ, რომ ამის შესახებ მსჯელობისას ვიგულისხმებთ: **ბედნიერება და თავისუფლება მხოლოდ მაშინაა მიღწეული ან მიღწევადი, როდესაც ის არ აყენებს სხვებს ზიანს (ცხადია, მანამ, სანამ ის სხვები არ დაგიპირებენ ზიანის მოყენებას).** არა იმის გამო, რომ ეს არაჰუმანურია: სხვებისადმი ზიანის

მიმყენებელი ბედნიერება და თავისუფლება არც სრულყოფილია და არც მდგრადი: ის ძალიან მოწყვლადია და როგორც წესი, ან ვერ მიიღწევა, ან მალე ქრება.

მაგრამ, მკითხავ შენ, ხომ არ არის აუცილებელი მაინცდამაინც განათლებული პატრიოტიზმი ავირჩიო ცხოვრების გზად? ხომ შეიძლება სხვაგან წავიდე საცხოვრებლად, ანდა, ვიცხოვრო ჩემს სამშობლო-სახელმწიფოში, და სულ არ მქონდეს მიზნად ბედნიერებისა და თავისუფლების მაქსიმალური შესაძლებლობის არც მიღწევა და არც გამოყენება?

ცხადია, შეგიძლია. მაგრამ, ამ შემთხვევაში უნდა დაეთანხმო იმ დაშვებას, რომ დიდი ალბათობაა, ვერც მაქსიმალურ ბედნიერებას მიაღწიო და ვერც მაქსიმალურ თავისუფლებას. ხომ იცი როგორაა: თუ მაქსიმუმისკენ არ მიისწრაფვი, შეიძლება უმცირესიც ვერ მიიღო. ასევე, უნდა დაეთანხმო იმ დაშვებას, რომ ამ შემთხვევაში, შენ სხვებისთვისაც (შენი თანამოქალაქეები, შენი შვილები, შენი საყვარელი ადამიანები) ვერ შექმნი ამ შესაძლებლობას.

მეორე წერილის დანართი: საქართველოს მთა - დარიალის ხეობა

საქართველოს მთაში დამოუკიდებელი, საკუთარი კულტურის ხალხი ცხოვრობს, რომელიც განსხვავდება ყველა დანარჩენისგან. ისინი შეიძლება რაიმე განსაკუთრებულ ცოდნას ფლობდნენ. ისინი მოწყვეტილნი არიან და სულ მოწყვეტილები იყვნენ ცივილიზაციას. ისინი არიან ჭეშმარიტი კულტურის მატარებელნი. მათი ღირებულება არაფერია, და უბრალოდ „ჩარჩნენ“ იქ. საქართველოს მთის ერთ-ერთი მაგალითია ხევი. გუდაური (სათხილამურო ტრასები) მაგ მხარესაა. ადგილობრივები ჩხუბობენ. დარიალის ხეობით საქართველო რუსეთს უკავშირდება.

დღეს დარიალის ხეობა შენთვის საქართველოს სამხედრო გზასთანაა დაკავშირებული: ეს სამხედრო გზა XIX საუკუნეში გაიყვანეს რუსებმა და დღემდე რუსეთთან კავშირის ყველაზე მნიშვნელოვან გზად რჩება. დარიალისკენ, ანუ, საქართველოსა და რუსეთის ჩრდილოეთი საზღვრისკენ, ან გუდაურისკენ, ან ყაზბეგისკენ თუ წასულხარ, აუცილებლად შეამჩნევდი სულხან-საბა ორბელიანის ძეგლს. იცი, ალბათ, ვინ იყო

ეს კაცი: ქართველი განმანათლებელი, პირველი ქართული განმარტებითი ლექსიკონის შემდგენელი, რომელმაც მე18 საუკუნეში ევროპაში იმოგზაურა საქართველოსთვის სავაჭრო და სამხედრო მოკავშირეების მოსაძებნად.

და სწორედ აქ, დარიალის ხეობისკენ მიმავალ გზაზე ვხვდებით პირველ ტყუილს, დარიალის შესახებ უმსჯელობის პირველ ნიშანსვეტს, რომელიც გვეუბნება, რომ სულხან-საბამ ევროპისკენ გზაზე ამ ხეობაზე გაიარა. სინამდვილეში, შესაძლებელია ორბელიანი არც არასდროს ყოფილა მაგ გზაზე (მხოლოდ მაშინ თუ მოხვდებოდა მანდ, ვახტანგ VI თუ გაჰყვბოდა დარიალის გზით რუსეთში), მით უმეტეს, როდესაც ევროპისკენ მიდიოდა: ცნობილია, რომ ის ევროპაში შავი ზღვის პორტების გავლით გაემგზავრა და ასევე დაბრუნდა უკან.

მაშინ, იკითხავ შენ, რა საჭირო ასეთი გაძეგლებული ტყუილი, რომელიც საქართველოს რუსეთის მიერ ოკუპაციის პერიოდში, 1970-იან წლებში ააგეს? ამაში გასარკვევად, ისტორიაში ცოტა შორს უნდა გავემგზავროთ და დავიწყოთ ამ საკითხში გარკვევა, ძველი ბერძნებისა და რომაელების დროიდან.

ცენტრალური კავკასიის მთების ის მონაკვეთი, რომელსაც დღეს დარიალი და დარიალის ხეობა ჰქვია, ანტიკურ პერიოდში ცნობილი იყო, როგორც გასასვლელი, რომელსაც უცხო და საშიშ ტომებთან მივყავდით. ამიტომ, როგორც ევროპელების, ასევე აღმოსავლეთის ხალხების ხედვით, ეს კარები სულ ჩაკეტილი უნდა ყოფილიყო და მას მცველად საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებნი უნდა ჰყოლოდათ. ნახევრად ლეგენდარული ფიგურა, ფარსმან მეფე, რომელსაც, ალბათ გაგიგია, რომაელებმა მარსის მოედანზე ძეგლი დაუდგეს, ცნობილი იყო, როგორც ამ კარიბჭის მცველი, რომ ველური ტომები არ შემოჭრილიყვნენ ჩრდილოეთიდან.

შემდეგ, V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ექსპედიცია დარიალის კარების კვლავ ჩაკეტვა იყო. სავსებით შესაძლებელია, როგორც ფარსმანის, ასევე, ვახტანგ გორგასალის პოლიტიკური მნიშვნელობის განსაზღვრაში დარიალის ჩამკეტის ფუნქცია მნიშვნელოვანი იყო. დარიალს მიღმა სხვადასხვა ხალხი და სახელმწიფოები იყვნენ სხვადასხვა დროს: ალანები, სკვითები, მონღოლები, რუსები. რატომ აღიქმებოდა ყველა ეს ხალხი

საფრთხედ, მგონი, ადვილი გასაგებია: იმდროინდელი მსოფლიოს მთავარი სავაჭრო და სამოგზაურო მაგისტრალიდან დაშორება აიძულებდა მათ მუდამ შემტევი და ექსპანსიური პოლიტიკა ჰქონოდათ, რაც, ცხადია, სულაც არ აწყობდა მათ, ვინც ამ მაგისტრალზე ან მის ახლოს ცხოვრობდა და სარგებელს იღებდა მისგან.

გიორგი ბრწყინვალე, როგორც იცი, საქართველოს გამაერთიანებელი ბოლო მეფე, დარიალის კარიბჭის ჩაკეტვას უზარმაზარ მნიშვნელობას ანიჭებდა. გაგიგია, ალბათ, მისი კანონთა კრებული - ძეგლისდება, რომლითაც ის კანონის ფარგლებში აქცევს ხევისა და დარიალის ერისთავების, ხევისბერების ცხოვრებას.

თუმცა, რაღა შორს მივდივართ: დარიალის თემა ისეა შემოსული შენს სასკოლო ცხოვრებაში, რომ ვერც ხვდები: ალექსანდრე ყაზბეგის ყველა ნაწარმოების მთავარი კონფლიქტი, იქნება ეს „ელგუჯა“, ხევისბერი გოჩა“ თუ სხვა - დარიალის კარების გახსნის ადა ამის გამო რუსებთან გამართული ბრძოლებია. ცნობილია, რომ გაბრიელ ყაზიბეგის ძე ჩოფიკაშვილმა, ალექსანდრე ყაზბეგის ბაბუამ, ერეკლე მეფის მიერ სტეფანწმინდის მოურავად დანიშნულმა მოხევემ

გაუხსნა გზა რუსეთის არმიას, რის გამოც მათ არა მარტო მთას დაარქვეს ყაზბეგი, არამედ, დიდი სიმდიდრეც აჩუქეს.

ილიას „მგზავრის წერილების“ საგზაო რუკაც დარიალზე გადის. ცნობილი დიალოგი ილიასა და ლელთ ღუნიას შორის სწორედ ამ ხეობის გავლისას ხდება. ასეთი კუთხით ხომ სულ სხვაგვარ დატვირთვას იძენს ლელთ ღუნიას ნათქვამი: „ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გვეყუდნოდეს’?

შენთვის და შენი სასკოლო სახელმძღვანელოებისათვის უცნობია გმირების ისტორია, როგორ იცავდა 1921 წელს ხევი დარიალის ხეობას, ორი კვირის განმავლობაში. ისე იცავდა, რომ სანამ თბილისიდან არ მოვიდა ცნობა საქართველომ წააგო, არცერთი რუსი არ შემოუშვეს და ასე შემდეგ.

დარიალის ხეობაზე ლაპარაკი უსასრულოდ შეიძლება. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყველა ამბავში, ნარატივსა თუ ისტორიულ დოკუმენტში, საქართველოს პრობლემები პირდაპირ არის დაკავშირებული დარიალის გახსნასთან და წარმატება - დარიალის დაკეტვასთან. რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის ორი ტალღა - 1991 და 2008

წელს - სწორედ დარიალის მხრიდან (როკის გვირაბი) შემოსულმა რუსეთის ჯარებმა მოახდინეს.

შორს წავედით მსჯელობით, მაგრამ ახლა ხომ გასაგებია, საითკენ იყო მიმართული ოკუპანტების მოქმედება, სულხან-საბას ძეგლს მის გაუვლელ გზაზე რომ დგამდნენ? მართალია. ისტორიის შეცვლასთან და რეალურ-ისტორიული ფაქტების მაგიერ, მისი სრულიად გადასხვაფერებული, ყალბი ისტორიის ჩვენს თავებში ჩაჭედვისაკენ.

იქვე, დარიალიდან აღმოსავლეთით, კიდევ ერთი ხეობაა - არღუნის. ეს სულ სხვა ისტორიაა და მის შესახებ შემდეგ წერილში მოგიყვები.

წერილი მესამე: რისთვის არის საჭირო განათლებული პატრიოტიზმი

ბუნებრივია, ეს კითხვა ლეგიტიმურია. რისთვის არის საჭირო განათლებული პატრიოტიზმი? რა, უბრალო ყოველდღიური, გარემოდან უკრიტიკოდ ათვისებული პატრიოტიზმი არ იმუშავებს? ანუ, რა საჭიროა ამ „განათლებულობის“, „კრიტიკულობის“ დამატება პატრიოტიზმზე?

პირველ რიგში, თანამედროვე სამყაროში განათლებული პატრიოტიზმი მნიშვნელოვანია კრიტიკული დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენ ან ნიჰილისტური მსოფლმხედველობის ტყვეობაში აღმოჩნდებით, რაც, იგიცე პატრიოტიზმია, ოღონდ, უარყოფითი ნიშნით (ამის შესახებ შემდეგ წერილებში მოგწერ) ან, რაც კიდევ უფრო უარესია, დოგმატური, სხვის მიერ წინასწარ განსაზღვრულ პატრიოტიზმში ჩავარდებით, სადაც გარდაუვალია თქვენი გამოყენება თქვენი და თქვენი ქვეყნის საწინააღმდეგოდ: თან ისე, რომ დარწმუნებული იქნებით, რომ საქვეყნო საქმეს აკეთებთ.

რაც მთავარია, განათლებული პატრიოტიზმი ერთადერთი გზაა თანამედროვე სამყაროში მდგრად წარმატებას მიაღწიოთ: სხვა ყველა გზით მიღწეული წარმატება ან ძალიან დროებითია, ან - დაკავშირებულია სხვების ცხოვრების მძიმე და შეუქცევად დაზიანებებთან, რაც საბოლოოდ ყველა შემთხვევაში გამოიღებს თქვენთვის უარყოფით შედეგებს და მიღწეულ წარმატებას გაგიუქმებთ.

კი მაგრამ, მკითხავთ თქვენ, რა ასეთი აუცილებელი კავშირია წარმატებასა და განათლებულ პატრიოტიზმს შორის? ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, თავისუფლების ცნება უნდა განვიხილოთ. თუკი გწამთ, რომ ადამიანი დაბადებით თავისუფალია, მაშინ სალაპარაკო არაფერია. მე ვერ შეგიცლით ამ რწმენას და არც ვაპირებ. მაგრამ, თუკი ეჭვი გეპარებათ ამ დებულებაში („ადამიანი დაბადებით თავისუფალია“), თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ წარმოგიდგენიათ, როგორ უნდა იყოს ახალდაბადებული ადამიანი თავისუფალი, რომელსაც არც დამოუკიდებლად კვება შეუძლია და არც გადაადგილება, მაშინ ჩვენ გვაქვს საერთო სამსჯელო სივრცე.

ყოველ ადამიანს თავისუფლებას, ისევე, როგორც მონობას ანიჭებს ის საზოგადოება, რომელშიც ის იბადება. ანუ, კონკრეტული საზოგადოების წესები განსაზღვრავენ ყოველი მისი წევრის თავისუფლების ხარისხსა და საზღვრებს, ისევე, როგორც, მისი მონობის შემთხვევაში. თავისუფლება კი სხვა არაფერია, თუ არა საკუთარი სურვილების მაქსიმალური განხორციელების შესაძლებლობა. ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ საკუთარი სურვილების მაქსიმალური განხორციელების მაქსიმალური შესაძლებლობა მხოლოდ იქ შეიძლება იყოს, სადაც დაიბადე და სადაც არ ხარ შეზღუდული წარმოშობის, რასის, ეთნიკური კუთვნილების საზღვრებითა და ლიმიტებით. ამაზე უკვე მოგწერე: ხომ გახსოვს, რომ ადამიანი, როგორც ბიოლოგიური არსება პროტექციონისტია?

ერებისა და ეროვნული სახელმწიფოების სამყაროში ასეთი გარემო მხოლოდ ის ადგილია, სადაც იბადები და ცხოვრებას სწავლობ, თუმცა, სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთ გარემოში არ დაიბადო: მაგალითად, დაიბადო იქ, სადაც მონობა და სხვისადმი დაქვემდებარება ცხოვრების წესია. ამ შემთხვევაშიც, კი, გაქვს არჩევანი: ან წახვიდე სხვა ქვეყანაში, სადაც, მართალია, არ გექნება

ყველა შესაძლებელი სურვილის განხორციელების შესაძლებლობა (მაგ. გახდე მაღალი რანგის არჩეული პოლიტიკოსი), მაგრამ, ცხოვრების, თანაცხოვრების, თვითგამოხატვის შესაძლებლობების მაქსიმუმია შესაძლებელი. ან, აირჩიო შენს დაბადების ადგილზე დარჩენა და ბრძოლა იმისათვის, რათა შენმა დაბადების ადგილმა ყველას, ვინც ამ ტერიტორიაზე იბადება, ყველა შესაძლებელი სურვილის განხორციელების შესაძლებლობა მიანიჭოს.

სწორედ აქაა განათლებული პატრიოტიზმისა და წარმატების კავშირი: მხოლოდ იქ შეგიძლია საკუთარი თავი ბოლომდე, შეუზღუდავად განახორციელო, სადაც იბადები. და შემდეგ შენი გადასაწყვეტია, ღირს თუ არა ამისთვის ბრძოლა, თუ სხვაგან, მშვიდ გარემოში წასვლა და შესაძლებლობების მხოლოდ ნაწილზე დაყაბულება.

მაგრამ, იკითხავ შენ: რატომ განათლებული პატრიოტიზმი? ეს განათლებულობა რაღა შუაშია? იმ შუაშია, რომ მხოლოდ კრიტიკულ ხედვას შეუძლია მოგცეთ საშუალება შეამჩნიოთ ნაკლი თქვენს სამშობლოში, დაინახოთ მისი შედეგები და იმუშაოთ ამ ნაკლის გამოსასწორებლად, როგორც თქვენთვის, ასევე, თქვენს გარემოში მცხოვრები ადამიანებისათვის.

როგორც ხედავთ, პატრიოტიზმს, განსაკუთრებით კი განათლებულ პატრიოტიზმს უტილიტარული მიზნები აქვს, ანუ, უპირველეს ყოვლისა, ის მიმართულია თქვენს (ასევე, თქვენი თანამოქალაქეების) პირად ბედნიერებაზე და ამ ბედნიერების მიღწევაზე, მის მდგრადად შენარჩუნებაზე.

მესამე წერილის დანართი: საქართველოს მთა - არღუნის ხეობა

ხევსურები ძველი ხალხია. ხევსურეთის კოშკები ჩრდილო-კავკასიელებმა ააშენეს. კარგი მებრძოლები იყვნენ. შეიძლება რაიმე მისტიკურ ცოდნას ფლობდნენ. წაწლობა მანდედან მოდის.

ალბათ გგონია, რომ რაკი დარიალის ხეობა სულ ჩაკეტილი უნდა ყოფილიყო, ეს მთელ ჩრდილო კავკასიას ეხებოდა. მაგრამ, ასე არ იყო საქმე. დარიალის ხეობის ჩაკეტვა სხვადასხვა დროს ალანების, ხაზარების, სკვითების, მონღოლებისა და რუსებისგან იცავდა საქართველოს, ასევე ევროპის აღმოსავლეთს. მაგრამ იყო კიდევ ერთი ხეობა, როგორც წინა წერილში მოგწერე, დარიალის აღმოსავლეთით, რომელზე გამავალი გზაც,

მართალია, სულ დაცული იყო, მაგრამ მუშაობდა, როგორც გზაგამტარი, ასევე ქართველებისა და ცენტრალური კავკასიონის ქედის ჩვენგან გადაღმა მცხოვრებლების მრავალსაუკუნოვანი, რთული ურთიერთობის მომსწრეა.

ეს ის ხეობაა, სადაც, შენთვის ნაცნობი ამბები ვითარდება „ალუდა ქეთელაურში“, „სტუმარ-მასპინძელში“. ასევე, ეს ის გზაა, რომლითაც ასტრახანიდან, კასპიის ზღვის ჩრდილოეთიდან მონღოლები მგზავრობდნენ საქართველოში და ქართველები ურდოში (არღუნი - ერთი-ერთი მონღოლი ნოინის სახელია, ჩეჩნეთში დღესაც არსებობს ქალაქი იმავე სახელწოდებით), სადაც შამილის რაზმებსა და ხევსურებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა, სადაც ერთ-ერთი სოფელი მუცო მანამ ვერ აიღეს რუსებმა, სანამ ზარბაზნები არ ჩაიტანეს და ბოლომდე არ დაანგრიეს, საიდანაც საქართველოში ხინკალი გავრცელდა და რომელიც, რუსეთ-ჩეჩნეთის ომის დროს ხსნა იყო ჩეჩენი ლტოლვილებისთვის.

ამ გზაზე ალბათ ნამყოფი ხარ. მიხვდი ალბათ უკვე, რომ ეს ის გზაა, ჟინვალიდან (რაც მონღოლურად საბაჟოს ნიშნავს) მთისკენ რომ გადაუხვევ და საბოლოოდ

შატილს მიადგები. მერე თუ გზას გააგრძელებ, ანატორის ნასოფლართან გზა მარჯვნივ უხვევს. მარცხნივ რომ წასულიყავი (ვერ წახვალ, დღეს ეს მიმართულება დაკეტილია და ქართველი მესაზღვრეები დგანან), ამ გზის გაგრძელებით არღუნის ხეობას ზევით აუყვებოდი და ჩეჩნეთში ამოყოფდი თავს. სავარაუდოდ, ეს სწორედ ის გზაა, საიდანაც ვახტანგ გორგასალი ჰუნების დახმარებას ელოდებოდა სპარსელების წინააღმდეგ მორიგ ბრძოლაში. ჰუნები არ მოვიდნენ.

როგორც ჩანს, ისტორიულად ისე აეწყო, რომ თუ დარიალის გადაღმა უპირობო მტერი ცხოვრობდა, არამარტო საქართველოს, არამედ ევროპისა და აღმოსავლეთისთვისაც, ხოლო არღუნის გაყოლებაზე მაცხოვრებლები მტერ-მოყვარეები იყვნენ, ხან ებრძოდნენ ქართველებს, ხან - ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. არ აქვს მნიშვნელობა, ჰუნები იყვნენ, ძურძუკები თუ ჩეჩნები. ისევე, როგორც არ აქვს მნიშვნელობა, დარიალის ჩაკეტილი კარის იქით ალანები ცხოვრობდნენ, სკვითები, მონღოლები თუ რუსები. დღეს, იცი, რომ ამ ორი ხეობის, დარიალისა და არღუნის ვითარება იმის საპირისპიროა, რასაც ისტორიისადმი კრიტიკული დამოკიდებულება

გვეუბნება: საქართველოს კეთილდღეობა პირდაპირ კავშირშია იმასთან, ჩაკეტილია თუ არა დარიალი და გახსნილია თუ არა არღუნი. დღეს - პირიქითაა.

წერილი მეოთხე: განათლებული პატრიოტიზმი VERSUS სამოქალაქო პატრიოტიზმი

ცხადია, იკითხავთ, თუ რა კავშირი, ან განსხვავებაა განათლებულ პატრიოტიზმსა და დღეს ასე პოპულარულ, სამოქალაქო პატრიოტიზმის ცნებას შორის. განსხვავება, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია: სამოქალაქო პატრიოტიზმი მიმართულია დემოკრატიული სახელმწიფოს, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და წესების დაცვაზე, ლოიალობა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქის უფლებების უზენაეს ღირებულებად გამოცხადებას, და ამავე დროს, კანონით მართვის აუცილებლობის გაგებას.

კიდევ უფრო ზუსტად, სამოქალაქო პატრიოტიზმი, ანუ, სამოქალაქო ნაციონალიზმი ერის, როგორც პოლიტიკური ერთობის ცნებიდან გამომდინარეობს. მაგრამ, სამოქალაქო პატრიოტიზმი არაფერს გეუბნება არც შენს წარსულზე და არც შენი მომავლის პერსპექტივაზე, გარდა იმისა, რომ შენ მოქალაქე ხარ და სარგებლობ ყველა იმ უფლებითა და თავისუფლებით, რითაც სხვა მოქალაქეები.

სამოქალაქო ნაციონალიზმს არაფერი ესაქმება არც ისტორიულ და არც მომავლის იდენტობასთან,

რომელიც, განათლებული პატრიოტიზმის ცნების მიხედვით, ყოველი კონკრეტული ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების გეგმის კონსტრუირებაში მონაწილეობს. ეს არის მთავარი განსხვავება სახელმწიფო ნაციონალიზმსა და განათლებულ, კრიტიკულ პატრიოტიზმს შორის. განათლებული პატრიოტიზმი, ისევე, როგორც სახელმწიფო ნაციონალიზმი გულისხმობს იმ კონსტიტუციისადმი ლოიალობასა და ერთგულებას, რომელიც კანონით მართვას უზრუნველყოფს და ადგენს ქვეყანაში ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების საზღვრებს, მაგრამ ის არის ამაზე მეტი. **განათლებული პატრიოტიზმი, ამავე დროს, გულისხმობს საკუთარი ქვეყნის ისტორიისა და მომავლის კრიტიკულ გააზრებას, ასევე საკუთარი მომავლის ამ კრიტიკულად გააზრებულ პროცესთან უნისონში მოყვანას.** კიდევ უფრო მოკლედ რომ ვთქვათ: საკუთარი დაგეგმილი წარმატებისა და ბედნიერების ქვეყნის მომავალთან სინქრონიზაციას.

მგონი, ეს განსხვავება და მსგავსება სახელმწიფო ნაციონალიზმსა და განათლებულ პატრიოტიზმს შორის გასაგებია, ამიტომ შემდეგ წერილებში განათლებულ

პატრიოტიზმსა და სხვა ტიპის პატრიოტიზმებს შევადარებ ერთმანეთს.

მეოთხე წერილის დანართი: „აბრეშუმის“ გზა, კლდეკარის ციხე და ვახტანგ გორგასალი

მგონი, საერთოდ არაფერი იცი კლდეკარის შესახებ. რამდენიმე მიზეზია: გარშემო ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეები ცხოვრობენ. არცერთი ცნობილი ტურისტული გზა მანდ არ გადის. შენი გარემოდან კლდეკარი, გარდა იმისა, რომ კლდის კარს შეიძლება ნიშნავდეს, საერთოდ ამოვარდნილია. სკოლიდან გახსოვს, ალბათ, ბუნდოვნად, სახელი „კლდეკარის ერისთავი“. ებრძოდა საქართველოს მეფეს? არ ებრძოდა? ერთად იბრძოდნენ? მოკლედ, გაურკვეველია. არადა, ჩვენი იდენტობის უმნიშვნელოვანესი, შეიძლება ითქვას, ცენტრალური ადგილია.

როგორც ადრე მოგწერე, კლდეკარის ვახტანგ გორგასალს უნდა გაეჭრა, ან თანამედროვე, დღევანდელი სახე მიეცა: სხვანაირად, მაშინაც და შემდგომ ეპოქებშიც თბილისის უზარმაზარი

მნიშვნელობა წარმოუდგენელია. აბა, დაფიქრდი: არაბები შემოდიან საქართველოში VI-VII საუკუნეში. თბილისი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ XI საუკუნეში დავით აღმაშენებელს, მანამ, სანამ კლდეკარს აიღებს, ურჩევნია კარგი ურთიერთობა ჰქონდეს თბილისის ამირასთან. კლდეკარს თუ აიღებდა, თბილისის აღება მხოლოდ ტექნიკური საკითხი იყო; ვინც ფლობდა კლდეკარს, ანუ, ჯავახეთის ზეგანზე (ე.წ. აბრეშუმის გზაზე) მთავარ გასასვლელს, ის ფლობდა თბილისსაც.

მეტიც, IX საუკუნეში, იმისათვის, რომ ჯავახეთის გზაზე დამოუკიდებელი გასასვლელი მოიპოვოს, ბაგრატ მესამე ატ(თ)ენის სიონის მონასტერს აშენებს, რათა საკუთარი ასასვლელი მოაწყოს და ქარავნებს თბილისისგან დამოუკიდებელი გზა შესთავაზოს. თუმცა, გზა, რომელიც დღესაც მიუყვება მდინარე ტანას ხეობას და საბოლოდ, სოფელ ბოშურთან არმისული, ჯავახეთის ზეგანზე ადის, მაინც უფრო რთული და არაკომფორტული აღმოჩნდა, ვიდრე თბილისი-დიდგორი-მანგლისის გზა.

თქმულებები კლდეკარის გაჭრას თამარ მეფის დროს მიაწერს. შესაძლებელია, ამ დროს კლდეკარი გააფართოვეს, შეაკეთეს, უფრო მოაწყვეს, მაგრამ

ვერაფერი ხსნის ვერც თბილისის სიძლიერეს და ვერც დავით აღმაშენებლის დაჟინებას, აეღო თბილისი, კლდეკარის გასასვლელი მანამდე რომ არ ყოფილიყო გაჭრილი. ამიტომ, ვფიქრობ, სავსებით შესაძლებელია, საქართველოს მთავარ არქიტექტორად ვახტანგ გორგასალი ჩავთვალოთ: ტყუილად კი არ უკავშირდება აბრეშუმის პლანტაციების გაშენება საქართველოში მის სახელს; გორგასალი არა მარტო სავაჭრო გზებს უდებდა მყარ საფუძველს, არამედ, ცდილობდა მნიშვნელოვანი პროდუქტი შეექმნა ევროპისათვის და ჩინური პროდუქცია უფრო ახლოს მდებარე და შესაბამისად, უფრო იაფი ქსოვილით ჩაენაცვლებინა.

არც ის არაა შემთხვევითი, გორგასლის სახელს რომ უკავშირდება ბევრი მონასტრის მშენებლობა: ის, რომ ყველა მონასტერი სავაჭრო გზაზეა აშენებული, ეჭვს არ იწვევს. ისიც სავარაუდოა, რომ მონასტრების მომრავლებითა და მათთვის გზების მართვის გადაცემით გორგასალი დიდი თავადების პოლიტიკური ალტერნატივის შექმნას ცდილობდა. აქედანვე, კლდეკარის ციხისა და კლდეკარის ერისთავების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიისათვის. გორგასალის შემდეგ, ათ საუკუნეზე მეტი კლდეკარის

ციხე იცავდა არა მარტო მთავარ სავაჭრო გზას, არამედ გარკვეული აზრით, საქართველოსაც - თუ სავაჭრო გზა დაცულია, დაცულია ის ქვეყანაც რომელზეც სავაჭრო გზა გადის. აქედან გამომდინარეობს კლდეკარის ერისთავების „სირთულეც“: დიდი პასუხისმგებლობა და დიდი შემოსავალი დიდ ამბიციებს ბადებს.

ეს გზა იმდენად პოპულარული იყო, რომ ცხადია, მას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა. მაგალითად: XIII საუკუნეში იტალიაში გამოიცა წიგნი, რომელიც აღწერდა საქართველოზე გამავალი გზის სახიფათოობას - „რკინის კარიბჭიდან (იგულისხმება დერბენტი) გზა მკვეთრად უხვეს ჩრდილოეთისკენ და საშიშ ადგილებში გადის“. ჩრდილოეთისკენ მაგ დროს ძველი, სვანეთზე გამავალი გზა იყო, რომლითაც სულ მცირე, რვა საუკუნე ქარავნები აღარ სარგებლობდნენ. ამ ძველ გზას მხოლოდ სვანეთიდან ჩერქეზეთთან დამაკავშირებელი ფუნქცია ჰქონდა (ანუ, თუ ჩერქეზეთში და/ან ყარაჩაიში მოკლე გზით გინდოდა წასვლა აღმოსავლეთ საქართველოდან, მაგ, ძველ საქარავნო გზას იყენებდნენ).

წერილი მეხუთე: განათლებული პატრიოტიზმი VERSUS ეთნიკური პატრიოტიზმი

მგონი იცი, რა არის ეთნიკური პატრიოტიზმი, მაგრამ, მაინც განმარტავ, რათა გაგახსენო: ეთნიკური პატრიოტიზმი არის ეთნიკური ნიშნების, ტრადიციებისა და მეხსიერების ადგილების პატივისცემა და ხშირ შემთხვევაში - თაყვანისცემა, სახელმწიფო ატრიბუტიკისა და სახელმწიფო ნაციონალიზმის უარყოფა/ეთნიკური წარმოდგენებისადმი დაქვემდებარება.

ეთნიკური პატრიოტიზმი არა მარტო უკრიტიკოა, ის ბევრ შემთხვევაში ექსტრემალურია და მიისწრაფვის ეთნიკურ კრიტერიუმებს (გენეტიკურ კავშირს, ისტორიულ „კანონზომიერებას“ და ა.შ.) დაუქვემდებაროს სახელმწიფოს ინსტიტუტები და კანონით მმართველობა: მისთვის ის, რაც ეთნიკურია, უპირობოდ ყველაზე მაღალ ღირებულებას ატარებს და ღირებულებების იერარქიის თავშია მოქცეული.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ეთნიკური პატრიოტიზმი დესტრუქციულია და ხშირად ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების

წინააღმდეგ ილაშქრებს: თუკი ნიშნები და მეხსიერების ადგილები, რომლებიც განაპირობებს ეთნიკური სხეულის აგებულებას ყველაზე მნიშვნელოვანია, მაშინ ადამიანის უფლებები შეიძლება შევზღუდოთ, იმ მიზნით, რათა არ მიადგეს ზიანი ეთნიკურ ერთიან სხეულს.

ვფიქრობ, შენთვის უკვე ცხადია განსხვავება ეთნიკურ პატრიოტიზმსა და განათლებულ პატრიოტიზმს შორის: განათლებული პატრიოტიზმი, ისევე როგორც ეთნიკური, აღიარებს წარმოსახვითი ეთნიკური სხეულის არსებობას, მაგრამ ეს აღიარება ნიშნავს ამ სხეულის კრიტიკულ განხილვას წარსულის და მომავლის ხედვებით, იმისათვის, რათა საკუთარი და თანამოქალაქეების ბედნიერების მდგრად საფუძველს მიაგნო.

თუკი ეთნიკური სხეულის აღიარება და შენახვა ეთნიკური პატრიოტიზმის უმაღლესი მიზანია, განათლებული პატრიოტიზმისათვის წარმოსახვითი ეთნიკური სხეულის არსებობის აღიარება პიროვნული თავისუფლების და ბედნიერების მიღწევის ინსტრუმენტია, საშუალებაა.

მეხუთე წერილის დანართი: ვაჭრობა და რაინდები

ქართველები ვაჭრები არ ვყოფილვართ. ვაჭრობას არ ვკადრულობდით. სულ დარბევებში და ომებში ვიყავით. სომხები ვაჭრობდნენ. ტყუილად კი არ წერს რუსთაველი, ავთანდილის პირით: „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ“. ამიტომ არ განვითარდა საქართველოსვე ეკონომიკა.

„თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ“ - ალბათ ხშირად გაგიგია რუსთაველის ეს ფრაზა, რომელსაც ქართველები იმის საბუთად იყენებენ, რომ საქართველოში ვაჭრობა განვითარებული არ იყო. ამას შემდგომ მოსდევს მტკიცება, რომ სწორედ ამან გამოიწვია საქართველოს დეგრადაცია კაპიტალიზმის ეპოქაში და ა.შ.

მაგრამ, ასე იყო საქმე სინამდვილეში? ის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი სამი ფენიდან ვაჭრები ერთ ერთია, უკვე უნდა მიუთითებდეს, რომ ისინი მნიშვნელოვანი ხალხი იყო იმდროინდელ საქართველოში. თან, თუკი რაინდები სიკეთეს, ხოლო ქაჯები ბოროტებას განასახიერებენ, ვაჭრები სადღაც მათ შუაში არიან განლაგებულნი, როგორც მოქმედებით, ასევე, ცხოვრების წესით.

დღეს ფართოდ გავრცელებული წარმოდგენით, შუა საუკუნეების ქართველი თავადები ლაშქრობის და რბევის მეტს არაფერს აკეთებდნენ. თუმცა, ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ წაკითხვის გარეშეც (სადაც წერია, რომ X-XII საუკუნეში საქართველო კონტინენტის ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანა იყო სწორედ მრეწველობისა და ვაჭრობის ხარჯზე), თუკი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტს დაუკვირდებით, მიხვდებით, რამდენად მცდარია ეს წარმოდგენა: „ვ“-ს სიუჟეტის მიხედვით, რაინდები თავის მიზანს ვაჭრების სამყაროს დახმარებით აღწევენ. რომ არა გულანშარო, ავთანდილი ვერ იპოვიდა ნესტან-დარეჯანს. სიუჟეტში არის ერთმნიშვნელოვანი ამბავი, რომელიც, ვფიქრობ, ნათელს ჰფენს შუა საუკუნეების საქართველოში სამხედრო ელიტისა და ვაჭართა ფენის ურთიერთობასა და თანამშრომლობას: გულანშაროდან ვაჭრები ვერ გადიან ზღვაში მეკობრეების გამო. ავთანდილი შესთავაზებს დახმარებას და საზღვაო შეტაკებისას მეკობრეების გემს გაანადგურებს.

ვფიქრობ, ესაა საქართველოს შუა საუკუნეების სოციალური სისტემის ჩარჩო: ვაჭარი ვაჭრობს, რაინდი - იცავს. ამრიგად გასაგები ხდება „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი

ხართ“: ცხადია, ვინც ვაჭრობს, ის უფრო მდიდარია, ვიდრე ის, ვინც მათ იცავს. ასევე ცხადია, რომ თუ საქართველო X-XII საუკუნეებში უმდიდრესი ქვეყანა იყო, ამ სიმდიდრის დიდი წილი ვაჭრების ქონებაზე მოდიოდა. ხოლო დიდგვაროვნები, რაინდები, რომელთა შემოსავლის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი წყარო ვაჭრების და საქარავნო გზების დაცვა იყო, ასე „იქარვებდნენ“ ამ უსამართლობით გამოწვეულ ბრაზს: კი ხარ მდიდარი, მაგრამ ეგ სიმდიდრე ჩვენი დამსახურებაა.

შესაბამისად, მგონი გასაგები გახდა შენთვის, რომ შუა საუკუნეებში საქართველოს ყოველდღიური ცხოვრება არა მარტო სავაჭრო გზასთან და ქარავნებთან იყო დაკავშირებული, არამედ, ვაჭრების და რაინდების, დიდგვაროვნების მჭიდრო კოოპერაციაზე. ეს იყო მყარი სისტემა, რომლის ცრუ ვერსია აქამდე ვრცელდება საქართველოში, თითქოს ვაჭრობა არ იყო საქართველოს დამახასიათებელი და მთელი ეკონომიკა სოფლის მეურნეობაზე და მარბიელ ლაშქრობებზე იდგა.

ამ კოოპერაციის ერთ-ერთი საბუთი საქართველოში, სამეფო კარის თხოვნით, ებრაელი ვაჭრის, ზანქან ზორაბაბელის მიერ გიორგი რუსის ჩამოყვანაა. ეს ფაქტი

იმ ნდობაზე მიუთითებს, რაც სამეფო კარს ვაჭრების მიმართ ჰქონდა.

ერთიც არის: საქართველოში დასახლებული პუნქტების (სოფლების, ქალაქების) ადგილმდებარეობას რუკაზე რომ დააკვირდე, აუცილებლად აღმოაჩენ, რომ ყველა ეს დასახლება ყოფილი სავაჭრო გზების ახლომახლო მდებარეობს.

ის, რომ სოფელი მთაშია და დღევანდელი მთავარი გზიდან შორს, არ ნიშნავს, რომ ეს ასე იყო მაშინაც, როდესაც ეს დასახლება გაჩნდა. სოფლების ფუნქცია და დანიშნულებაც სწორედ ეგ იყო: დაეცვა გზა, დაეპურებინა მოგზაური.

ცხადია, მთავარი სავაჭრო გზა ჯავახეთის ზეგანზე გადიოდა, მაგრამ, მას უამრავი პატარა თუ დიდი გზა უერთდებოდა. სწორედ ამ გზების გასწვრივ განვითარდა დასახლებები, რომლებიც დღეს ჩვენთვის სოფლების ან ნასახლარების სახელითაა ცნობილი. ისიც გაითვალისწინე, რომ როგორც წესი, საქართველოში სოფლებს შორის მანძილი მაქსიმუმ 20-30 კილომეტრია: მანძილი, რომელსაც ურემი ერთ დღეში ადვილად დაფარავს, ხოლო ცხენოსანი სწრაფი სიარულით - 2-3 საათში.

საქართველოში გავრცელებული დაძახება „მასპინძელო!“ სწორედ ამ ტრადიციას და ცხოვრების წესს მიუთითებს: აშკარაა, რომ ქვეყნაა ისე იყო მოწყობილი, რომ სრულიად უცნობ ადამიანს ჰქონდა იმის იმედი, რომ ნებისმიერი ოჯახი მიიღებდა და უმასპინძლებდა.

წერილი მეექვსე: განათლებული პატრიოტიზმი VERSUS რელიგიური პატრიოტიზმი

ვფიქრობ, ბევრი რამ იცი რელიგიურ პატრიოტიზმზე: იდეებზე, რომლის მიხედვითაც კონკრეტული რელიგიისადმი შენი მიკუთვნებულობა შენი იდენტობის მთავარი ინსტრუმენტია. ანუ, კონკრეტული რელიგია განსაზღვრავს, თუ ვინ ხარ და რას წარმოადგენ. რელიგიურ პატრიოტს საკუთარ სამშობლოდ რელიგიური ინსტიტუტები მიაჩნია და საკუთარ თავს, ცხოვრების გზას, ყოველდღიურ ქცევას მათზე ორიენტაციით საზღვრავს. ეთნიკურობა და სახელმწიფო ამ შემთხვევაში მისთვის მეორეულია, რელიგიურ იდეასაა დაქვემდებარებული.

შესაბამისად, რელიგიური პატრიოტისთვის ცხოვრების მხოლოდ ერთი კონკრეტული გზა არსებობს და მისგან გადახვევა დაუშვებელია. ამიტომაც, რელიგიური პატრიოტიზმი წააგავს ეთნიკურს, ოღონდ მათ შორის დიდი განსხვავებაცაა: რელიგიური პატრიოტიზმი ინტერ-ეთნიკურია, მას შეუძლია რამდენიმე ეთნოსი მოაქციოს საკუთარ ფარგლებში და ამით ეროვნული სახელმწიფოს არსებობას შეუქმნას საფრთხე. რელიგიური პატრიოტისათვის როგორც ეთნიკური,

ასევე, სახელმწიფო ღირებულებები მეორეულია, დაქვემდებარებულია რელიგიურ იდეას.

შესაბამისად, რელიგიური პატრიოტიზმი, ასევე, ეწინააღმდეგება პიროვნულ თავისუფლებას და ინდივიდის მიერ საკუთარი ბედნიერების გზის დამოუკიდებლად, საკუთარი სურვილის მიხედვით განსაზღვრას. რელიგიური პატრიოტიზმის ინსტრუმენტალიზაციაც ისევეა შესაძლებელი განათლებული პატრიოტიზმის მიერ, როგორც სახელმწიფო ნაციონალიზმის და ეთნიკური პატრიოტიზმის: განათლებული პატრიოტიზმი რელიგიის ისტორიულ მნიშვნელობას შესაბამის ისტორიულ კონტექსტში სვამს: ამის შემდეგ შეუძლებელია დაინახო რელიგიაში რაიმე უნივერსალური და საყოველთაო, ინდივიდის მიერ სულის გადარჩენისკენ სწრაფვის გარდა.

რელიგიური პატრიოტიზმის ინსტრუმენტალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პიროვნება ინდივიდუალურად დაუკავშირებს საკუთარ ცხოვრებას რელიგიას და გამოიყენებს მას საკუთარი ცხოვრებისა და ბედნიერების დასაგეგმად. ამ შემთხვევაში, განათლებული პატრიოტიზმის მიდგომა

აუქმებს რელიგიის კავშირს ჯგუფურ იდენტობასთან და მხოლოდ ეკლესიისა და პიროვნების ურთიერთობისათვის ტოვებს ადგილს.

მეექვსე წერილის დანართი: შავი ზღვა

სიტყვა „ზღვა“ და სიტყვა „ზღვარი“ ერთი ფუძისაა. ქართველებს ფლოტი არ გვყოლია. ერთადერთი ერი ვართ, რომელიც ზღვაზე ცხოვრობს და ზღვაში არ გადის. ქართველი სახლს ზღვასთან ზურგშექცეულს აშენებს. გვეშინია ქართველებს ზღვის. ყველამ ნავი გამოთალა ხისგან, მხოლოდ ქართველმა - საწნახელი.

ცხადია, უკვე ხვდები, რომ თუ საქართველოს სამეფო გორგასლის დროიდან ჯავახეთზე გამავალი სავაჭრო გზის გარშემო ეწყობოდა, ზღვასაც დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ასეც იყო. შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე გადასაზიდი ტვირთი ჩადიოდა საქართველოს პორტებში, იქ გემებზე იტვირთებოდა და აგრძელებდა გზას.

შესაბამისად, სანაპიროს ერისთავები და თავადები, ოდიშის, აფხაზეთის, გურიის მთავრები მდიდარი და წარმატებული ხალხი იყო. აფხაზეთში ქართულად მოლაპარაკე ზანგების სოფელიც არსებობდა,

რომლებიც სხვადასხვა გზით, ბედითა თუ უბედობით მოხვდნენ საქართველოში, დასახლდნენ და გამრავლდნენ. ოღონდ, 1921 წლის ოკუპაციამდე. მერე რუსებმა უმეტესობა მოკლეს, ან გადაასახლეს.

მე9-13 საუკუნის კლიმატურ დათბობამდე ყველა მდინარე, რომელიც შავ ზღვაში ჩადიოდა, სანაოსნო იყო. ანუ, ხობიც და ჭოროხიც. შესაბამისად, გემები ქუთაისამდეც კი აღწევდნენ, ისევე, როგორც არგონავტების მითშია. დათბობის მერე მყინვარები დადნა, სედიმენტები (ანუ, ქვა-ღორღი) მდინარეებში ჩავიდა, შემდეგ შავ ზღვამდეც მიაღწია და უმეტესობა მდინარეს სანაოსნო პერსპექტივა მოუსპო. ასევე, შეცვალა შავი ზღვის კონფიგურაცია, გააქრო ყურეები. შუა საუკუნეების რუკებზე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე უამრავი ყურეა. ამის შესახებ ცხადი წარმოდგენა რომ შეგექმნას, დააკვირდი გონიოს ციხეს: ის ზღვის ნაპირზე იდგა. დღეს - სულ მცირე 500 მეტრია გონიოს ციხიდან ზღვამდე.

ქართველების ზღვაოსნობისადმი მიდრეკილება „ვეფხისტყაოსანშიც“ ჩანს: მასწავლებელი არ მიგაქცევინებდა ყურადღებას, არადა, „ვ“-ს ნახევარი სიუჟეტი ზღვაზე ვითარდება, ფრიდონი ზღვაოსანი

მეფეა და ა.შ. ქართველთა ზღვაოსნობას მარკო პოლო ასახელებს, როგორც ქართველების გამორჩეულ ნიშანს. დიდგორის ბრძოლის მონაწილე „ფრანგები“ ზღვით შემოვიდნენ საქართველოში. გურიაში X საუკუნის 20-იან წლებამდე ჯერ კიდევ თლიდნენ ხეებისგან დიდ საზღვაო ნავებს. ლაზები, უკვე შავ ზღვაზე თურქების გაბატონების პერიოდში ცნობილი მეკობრეები იყვნენ. კიდევ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

მაგრამ იკითხავ შენ, რატომ არ დაგვრჩა მეხსიერება ამის შესახებ? ამ კითხვაზე პასუხში უკვე საბჭოთა კავშირი უნდა ჩავრთოთ: საბჭოთა კავშირის დროს შავი ზღვა სავაჭრო კი არა, სამხედრო ობიექტი იყო. შესაბამისად, არა მარტო ქართველებს უკრძალავდნენ ზღვაზე საქმიანობას, თურქეთთან მოსაზღვრე შავი ზღვის სოფლები ჩაკეტილი იყო და მხოლოდ სპეციალური საშვით შეიძლებოდა იქ მოხვედრა. ამის პარალელურად, უშიშროება აქტიურად ავრცელებდა მითებს ქართველების ზღვისადმი გაუცხოების შესახებ, რომ მათ სურვილიც არ გასჩენოდათ ზღვასთან დაეკავშირებინათ საკუთარი ცხოვრება. სხვათა შორის, ბალტიის ქვეყნებშიც მსგავსი პოლიტიკა ჰქონდათ. სასაზღვრო ზღვისპირა დასახლებები სამხედრო ბაზებით იყო

გამოყოფილი და ჩაკეტილი. და მსგავს მითებს ავრცელებდნენ, როგორც საქართველოში.

გაიხსენებ, რამდენ მასწავლებელს ან ექსკურსიამძღოლს მიუქცევია თქვენი ყურადღება სვეტიცხოველში ფრესკისადმი, სადაც საზღვაო გემებია გამოსახული? ვფიქრობ, არცერთს.

ახლა, რაც შეეხება ფლოტის არქონას. თითქოსდა, ძლიერ არგუმენტს. საქმე იმაშია, რომ გემი და ზღვაოსნობა თვითკმარი საქმე ე.წ. კილიანი გემების გამოგონების შემდეგ გახდა, როდესაც ევროპელებმა საოკეანო ზღვაოსნობა დაიწყეს. მანამდე მთელი მსოფლიო ბრტყელძირიანი ნავებითა და გემებით დაცურავდა - მათ შორის - ქართველებიც. ბრტყელძირიანი გემები და ნავები, ძირითადად, ნაპირთან ახლოს დაცურავდნენ, განსაკუთრებით შავ ზღვაში, რომლის შუაგულში გასვლას ახლაც ერიდებიან გემები. კილიანმა გემმა სამხედრო საქმეც შეცვალა: შესაძლებელი გახდა არა მარტო ოკეანის გადალახვა, არამედ, შორიდან მოვლით, მოწინააღმდეგეს თავზე დადგომა. ამის მერე გახდა ფლოტი მნიშვნელოვანი. ამ დროს კი შავ ზღვაზე უკვე თურქები ბატონობდნენ,

რომლებმაც წარმატებით აითვისეს ევროპელების მიღწევები და შავი ზღვის ფლოტიც შექმნეს.

წერილი მეშვიდე: განათლებული პატრიოტიზმი VERSUS ნიჰილისტური პატრიოტიზმი

როგორც უკვე მიხვდი, განათლებული პატრიოტიზმი ახალი კონცეფციაა, რომელიც თავის თავში აერთიანებს პატრიოტიზმის უმეტეს ფორმებს, როგორც ბედნიერებისა და თავისუფლების მიღწევის ინსტრუმენტებს. მაგრამ, არსებული პატრიოტიზმები, რომლებიც წინა წერილებში ჩამოვთვალეთ და განათლებულ პატრიოტიზმთან მიმართებაში განვიხილეთ, ხშირად, თავისი ნორმატიული და ხშირად სავალდებულო ხასიათის გამო, იწვევენ ისეთ პატრიოტიზმს, რომელიც მათ უარყოფაზეა აგებული და რომელსაც სავსებით შესაძლებელია უარყოფითი, ანუ, ნიჰილისტური პატრიოტიზმი დავარქვათ.

ნიჰილისტური პატრიოტიზმი ეთნიკური და სახელმწიფო პატრიოტიზმის საყრდენი ორიენტირების უარყოფაზეა მიმართული: ის ცდილობს ყველაფერი, რაც ამ ორი პატრიოტიზმის საყრდენს წარმოადგენს, იქნება ეს ისტორიის აღმატებული შეფასება თუ ადამიანის უფლებების უზენაესობა, შეაფასოს როგორც უსარგებლო და „სინამდვილეში“ იმის საპირისპირო, რის დეკლარირებასაც ისინი ახდენენ. ასე, ისტორიული

პერსონაჟების ნაკლოვანი მხარეების მანიფესტაცია, ადამიანის უფლებების დაუცველობა ის საკვებია, რითაც ნიჰილისტური პატრიოტიზმი იკვებება.

მაგრამ, მკითხავ შენ, რა შუაშია აქ პატრიოტიზმი? ნიჰილიზმი გასაგებია, მაგრამ პატრიოტიზმი? საქმე იმაშია, რომ ნიჰილიზმის პატრიოტიზმი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მის მატარებელს მთელი სამყარო კი არ წარმოუდგენია უაზრო და უსარგებლო ერთიანობად, არამედ, მხოლოდ მისი პატრია, მისი სამშობლო, ის ამბობს, რომ მისი სამშობლო განსაკუთრებულია მის უსარგებლობაში და სიდუხჭირეში. ანუ, ამით საკუთარი სამშობლოს, მართალია უარყოფითი ნიშნით, მაგრამ მაინც სხვების მიმართ განსაკუთრებულობას აღნიშნავს.

განათლებული პატრიოტიზმს შეუძლია ნიჰილისტური პატრიოტიზმი - ეჭვიანი, კრიტიკული დამოკიდებულება გამოიყენოს, წარსულის ფაქტებისა და ნარატივების ანალიზისას, თუმცა, ისევე, როგორც ეთნიკური და სახელმწიფო პატრიოტიზმის შემთხვევაში, ნიჰილისტური პატრიოტიზმის მეთოდი არა მიზნად, არამედ, თავისუფლებისა და ბედნიერების გზის კონსტრუირების ინსტრუმენტად უნდა იყოს გამოყენებული.

მეშვიდე წერილის დანართი: ევროპა და საქართველო

ჩვენ ევროპელები არ ვართ. ევროპა სხვაა, ჩვენ - სხვა. ჩვენ გზისგასაყარი ვართ. არც ევროპა ვართ და არც აზია. ევროპას სულ არ შეესაბამება ჩვენი ცხოვრების წესი. ევროპა რუსეთმა შემოგვიტანა. ჩვენ უნდა დავბრუნდეთ ევროპის დიდ ოჯახში. ქართველი ევროპელია. მე ქართველი ვარ, და მაშასადამე, ევროპელი.

საქართველო, ისეთი, როგორც ჩვენ დღეს ვიცით, თავისი წარმოშობის დღიდან ყოველთვის დაკავშირებული იყო ევროპასთან: ქრისტიანობის შემოსვლამდეც, როდესაც საქართველოს მმართველები, მათი რელიგიური და ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად ჩრდილოეთის ველური ტომებისგან ჩაკეტილი კარების მცველებად აღიქმებოდნენ, და მერეც, როდესაც რომის იმპერიის საზღვრების გაფართოებას საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება უძღოდა.

მაგრამ, ეს არ იყო უბრალო კავშირი: დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ბერძნული და რომაული ციხესიმაგრეები, ტოპონიმები (მაგ.

პალიასტომი - პალიო სტომოს -ბერძ. დაბალი, მეჩხერი გასავლელი), აღმოსავლეთ საქართველოს ნამარხი ძეგლები (მაგ. რომაული ვილა და აბანო მცხეთასთან ახლოს, აგორის ციხე კავთისხევში) მიგვითითებს, რომ საქართველო არა მარტო კავშირში იყო ევროპასთან, არამედ, მისი ნაწილიც იყო: შავი ზღვის სანაპიროს ციხე-სიმაგრეები/პორტები, ხანჯლები და მათი ქამრები, რომლებიც დღემდე ინარჩუნებს რომაელი ჯარისკაცის იარაღისა და ქამრის ფორმას, დასავლეთ საქართველოს ორთვალები, რომლებიც უცნაურად წააგვანან ბერძნულ საბრძოლო ეტლებს, მიგვითითებს, რომ კულტურულად დასავლეთ საქართველო მაინც, თუ მთლიანად საქართველო არა, ევროპას ეკუთვნოდა. ალბათ იკითხავ, თუ რა განაპირობებდა ამ კავშირს და ერთიანობას? ცხადია, ისევ და ისევ, სავაჭრო გზა, რომელიც მე-5 საუკუნემდე სვანეთზე გადიოდა, და მე-5 საუკუნის შემდეგ - ჯავახეთზე: ბიზანტია და სპარსეთი რამდენჯერმე შეებრძოლნენ ერთმანეთს სვანეთიდან გამომავალი გზის კონტროლისათვის. მირიან მეფის და ვახტანგ გორგასლის შემდეგ, როდესაც მათ ხაზგასმით დაუჭირეს მხარი ქრისტიანობას, როგორც რომაული მშვიდობის (PAX ROMANA) ნაწილს სპარსეთის

წინააღმდეგ, ეს ერთიანობა კიდევ უფრო ცხადი და ხელშესახები გახდა.

საქართველო რომის იმპერიისა, და შემდგომში, ევროპის მიერ, აღიქმებოდა, როგორც ევროპის ბოლო, აღმოსავლეთით მდებარე მხარე, რომლის იქითაც უკვე უცხო აღმოსავლეთი იწყებოდა. ამიტომ, ჯავახეთის მხარე, სადაც მთავარი სავაჭრო გზა გადიოდა, ყოველთვის რომაულ-ევროპული ორიენტაციისა იყო: ერთიანი საქართველოს იდეაც და განხორციელებაც, როგორც გახსოვს, ტაო-კლარჯეთიდან დაიწყო, როგორც არაბებისა და სელჩუკების შემოსევის, ბატონობის პასუხი. ქართველი მეომრები აქტიურად მონაწილეობდნენ ევროპისა და აღმოსავლეთ რომის იმპერიის საბრძოლო ექსპედიციებში, ისევე, როგორც ე.წ. ფრანგი მეომრები - საქართველოს ომებში.

საქართველო იმდენად ევროპის ნაწილი იყო, რომ, მაგალითად, არავის უკვირდა, იერუსალიმის ალყისას, მონღოლების არმიაში შემავალ ქართველ რაინდებს რომ ფრანგი ხელმძღვანელობდა. IX საუკუნემდე, სანამ რუსეთის იმპერია ოკუპაციის შემდეგ მიზანმიმართულ კამპანიას დაიწყებდა საქართველოს ევროპის მეხსიერებიდან გაქრობისათვის, ქართული სიუჟეტები,

ისტორიის პერსონაჟები ძალიან პოპულარულნი იყვნენ ევროპაში. საქართველოდან ცენტრალური ევროპისკენ სახმელეთო გზაც არსებობდა: ჩერქეზების სამთავროების (რომლებიც, როგორც წესი, ქართველი მეფეების ჰეგემონიას აღიარებდნენ) შემდეგ კიევის რუსეთისა და ლიტვის სამთავროს მიწები იწყებოდა. ეს საზღვაო გზის დამატებითი არტერია იყო.

აღმოსავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ევროპაში საქართველოსადმი ინტერესი და ცოდნა, სავაჭრო გზის გამო, შენარჩუნდა. მართალია, შავ ზღვას თურქები აკონტროლებდნენ, მაგრამ, სანაპიროს და ასევე, ჯავახეთის ერისთავები ცდილობდნენ ვაჭრობის კონტროლი ხელიდან არ გაეშვათ და წარმატებასაც აღწევდნენ. თუმცა, ევროპის პირდაპირი კავშირი საქართველოსთან გართულდა: სამხრეთის გზა, როგორც სახმელეთო, ასევე საზღაო, თურქების კონტროლს ქვეშ იყო, ჩრდილოეთის გზა კი მონღოლების იმპერიის ნარჩენ ურდოებს ჰქონდათ დაკავებული. შესაბამისად, თუკი სადღაც IV საუკუნემდე შეგვიძლია ვიმსჯელოთ აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ჩარჩოებზე, მიმართულებაზე - სპარსეთი თუ რომი, IV საუკუნის შემდეგ საქართველო უტყუარად

აღიქმებოდა, როგორც ევროპის შორეული ნაწილი, კარიბჭე ველურებისგან თავდასაცავად.

ცხადია, ამ აღქმაში მნიშვნელოვან როლს ქრისტიანობა ასრულებდა, როგორც ევროპულობისა და რომაულობის საბუთი. თუმცა, რუსეთის იმპერიამ მოახერხა ეს საბუთი თავის სასარგებლოდ მოეტრიალებინა და ქართველების დიდი ნაწილი დაერწმუნებინა, რომ მათი ქრისტიანობა სხვაა, ვიდრე ევროპულ-რომაული. გარკვეულწილად მათ ეს მოახერხეს კიდეც არა მარტო დარწმუნების, არამედ, რეალობის შეცვლის დონეზეც. ამის შესახებ შემდეგ წერილში მოგიყვები.

წერილი მერვე: განათლებული პატრიოტიზმი, როგორც პოლიტიკის მიზანი

გამარჯობა,

წინა წერილებში განათლებული პატრიოტიზმის შინაარსზე გწერდი, ასევე, ყოველი წერილის ბოლოს კონკრეტული მაგალითებიც მომყავს, თუ როგორ უნდა შევხედოთ ჩვენს ეროვნულ ცნობიერებაში არსებულ უმსჯელობებს განათლებული პატრიოტიზმის თვალთახედვით და როგორ უნდა მივიდეთ ჩვენი ეროვნული იდენტობის იმ კრიტიკულ შინაარსთან, რომელიც ჩვენს პიროვნულ წარმატებას შეიძლება დაედოს საფუძვლად.

ამ წერილში, მინდა განათლებულ პატრიოტიზმთან სახელმწიფო პოლიტიკის დამოკიდებულების შესახებ მოგიყვე. ანუ, გაგიზიარო მოსაზრებები, როგორ უნდა მოეწყოს სახელმწიფო პოლიტიკა ისე, რომ განათლებული პატრიოტიზმი, ანუ, კრიტიკული პატრიოტიზმი გახდეს როგორც ეროვნული იდენტობის საყოველთაო შესაძლებლობა, ასევე, პიროვნული და ქვეყნის განვითარების ძლიერი სტიმული.

როგორც უკვე მიხვდებოდი, განათლებული პატრიოტიზმი უფრო მეთოდი და განხილვის წესია, ვიდრე დოქტრინა, ან ნარატივი. მაგრამ, ამ მეთოდის ყველა გამოყენებას აერთიანებს ერთი რამ და ამ მეთოდის გამოყენებას ყველა, ვინც მას იყენებს, მიჰყავს საერთო შედეგამდე: ეს შედეგია საკუთარი ქვეყნის ისტორიის კონტექსტური გაგება და გავრცელებული უმსჯელობებისათვის დასაბუთებული და გონივრული მნიშვნელობის მინიჭება.

აქედან უკვე ცხადია, რა უნდა იყოს ქვეყანაში იმ პოლიტიკის მიზანი, რომელიც მიმართულია ინდივიდის განვითარებაზე: კრიტიკული იდენტობის გამომუშავების ხელშეწყობა. ეს არა მარტო განათლების სისტემაში და ისტორიული ფაქტების ანალიზში დაოსტატებით უნდა მოხდეს, არამედ, ნებისმიერ სფეროში, სადაც მმართველების თუ თვითმმართველობის ორგანოებს ჩარევა შეუძლიათ, უნდა მოხდეს კვლევითი დამოკიდებულების განვითარების ხელშეწყობა; იქნება ეს ხელოვნება, სპორტი, ეკონომიკა, თუ სხვა რაიმე დარგი.

კრიტიკული დამოკიდებულების საფუძველი კი ძალიან ადვილად გასაგები და სასწავლია, რასაც ჯერ კიდევ

ანტიკურმა ბერძნულმა ფილოსოფიამ დაუდო სათავე, რაც დაიყვანება საინტერესო საგნისა, თუ ინფორმაციის მიმართ ოთხი ძირითადი კითხვის დასმაზე, და რომლის შესახებ უკვე მოგიყევი პირველ წერილში.

მერვე წერილის დანართი: რეგიონები და ცენტრები

საქართველოს ხსნა ერთიანობაშია. საქართველო ერთი ცენტრიდან უნდა იმართებოდეს. დეცენტრალიზაცია ეგრევე გამოიწვევს სეპარატიზმს. არა მარტო სომხები და აზერბაიჯანელები, აჭარლები და მეგრელებიც გაიქცევიან. როგორ შეიძლება დეცენტრალიზაცია. აი, დავით აღმაშენებლის და გიორგი ბრწყინვალეს დროს რომ იყო, ისე უნდა ვიყოთ.

ერთი შეხედვით მართლაც ასეა: ერთიანობას ხომ ერთიანი მმართველობა განაპირობებს. მით უმეტეს, რომ ის სახელმძღვანელოები, რომელიც შენ სკოლაში წაგიკითხავს და მოგისმენია, სულ ამას ამბობენ, რომ ყველაზე ძლიერი საქართველო იყო მაშინ, როდესაც ის ერთიანი იყო.

მაგრამ, მართლაც ასე იყო თუ არა? იმ პერიოდში, როდესაც ინფორმაციის გადაცემა გართულებული იყო და დიდ დროს მოითხოვდა, როგორ უნდა შეენარჩუნებინა ცენტრალურ ხელისუფლებას მორჩილება/ლოიალურობა რეგიონებში? როგორ უნდა უზრუნველყო დარღვევებსა და დანაშაულზე მკაცრი და დროული რეაგირება? რა ინსტრუმენტები არსებობდა ამისათვის შუა საუკუნეებში და უფრო ადრე, ან მერე, თანამედროვეობამდე?

თუკი დაფიქრდები, მიხვდები, რომ ცენტრის მიერ რეგიონების დაშინებითა და ძალადობით ამის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა: ეს უნდა მომხდარიყო რეგიონებში ძლიერი, ცენტრალურ ხელისუფლებას დაქვემდებარებული გარნიზონების და პოლიციის ყოლით, რომლებსაც სწრაფი და მდგრადი კავშირი ექნებოდათ ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ეს კი XIX საუკუნემდე შეუძლებელი იყო.

აქვე გეტყვი, რომ სწრაფი კომუნიკაციის შესაძლებლობამ არა მარტო სიკეთე მოგვიტანა, ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმებიც უფრო მდგრადი გახადა. მაგრამ ამჯერად ეს არ არის ჩვენი სასაუბრო თემა.

ამრიგად, ალბათ, მეთანხმები, რომ პირდაპირი ცენტრალური მმართველობა შუა საუკუნეებში და ანტიკურ ხანაში შეუძლებელი იყო. ამიტომ, ძირითადი ფაქტორი, რასაც სახელმწიფოები ეყრდნობოდნენ თავის ვასალებთან ურთიერთობაში, იყო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებლიანობაზე დამყარებული ლოიალობა. შუა საუკუნეების საქართველოს შემთხვევაში ერისთავის ლოიალობა უნდა დამყარებულიყო სამხედრო დახმარების შესაძლებლობასა და სავაჭრო გზიდან სარგებლის წილზე.

ცხადია, ლოიალობის მაფორმირებელი ნაწილი იყო სარწმუნოებაც და ერთ ენაზე საუბარიც, მაგრამ დიდი სახელმწიფოების შემთხვევაში, ამ ფაქტორს მაინც მეორეული ფუნქცია ჰქონდა. მეტიც, ქართველი მეფეები ცდილობდნენ ერისთავებს კანონებით და არა მხოლოდ ლოიალობაზე დამყარებული წესებით ემართათ თავისი რეგიონები. ამის კარგი მაგალითია გიორგი ბრწყინვალის ძეგლისდება, როდესაც ის ხევს და ხევსურეთს (ხომ გახსოვს ხევი და ხევსურეთი რატომაა მნიშვნელოვანი - ერთი დარიალის კარს კეტავს, ხოლო მეორე არღუნის ხეობის გზას იცავს) კანონს უწესებს და

კანონით მართვას ავალდებულებს ერისთავებს, ხევისბერებს და სხვა პოლიტიკურ იერარქებს.

გარდა ამისა, როდესაც ქვეყნის სათამაშო ბანქო გლობალურ პოლიტიკაში სავაჭრო გზაა, საეჭვოა მისი მართვა ცენტრიდან ეფექტური ყოფილიყო. ჩვენი, თანამედროვე სიტყვებით რომ ვთქვათ, დეცენტრალიზაცია იმიტომაც იყო საქართველოს შემთხვევაში ეფექტური, რომ ყველა ერისთავს საკუთარ ტერიტორიაზე სწრაფი და ოპტიმალური გადაწყვეტილების შესაძლებლობა ჰქონდა. ამიტომაც აიღო დავით აღმაშენებელმა თბილისი. როგორც წყაროები იტყობინებიან, სამეფო კარს თბილისთან არ ჰქონდა ცუდი ურთიერთობა, მაგრამ, თბილისს არ ჰქონდა ქართული სახელმწიფოს მიმართ ლოიალობა, რაც ქვეყანას დიდი შემოსავალსა და პოლიტიკურ გავლენას აკარგვინებდა.

რაც შეეხება იმას, რომ თქვენ ბევრს გასწავლიდნენ, როგორ ებრძოდნენ დიდი მეფეები ურჩ ფეოდალებს, ეს ბრძოლა სწორედ ლოიალობის დარღვევით იყო გამოწვეული. ალბათ, ბევრჯერ გაგკვირვებია ამბავი, რომ მეფემ ებრძოლა ფეოდალს, დაატყვევა და მერე გაათავისუფლა: ჩვენი, ქართული ისტორიოგრაფიული

დისკურსის ლოგიკით მეფეს ის უნდა მოეკლა და სხვა დაესვა მის ადგილზე. თუმცა, მოგეხსენება, ყველა მმართველ ჯგუფს თავისი კავშირები აქვს სამართავ ადგილზე და „ახლი კაცის“ გაგზავნა კიდევ უფრო არევდა არეულ საქმეს. ამიტომ, ჩვენი მეფეები დამორჩილებული ფეოდალების მიმართ, მკაცრ სასჯელს იშვიათად მიმართავდნენ. არა ჰუმანურობის გამო, არამედ, სახელმწიფოს ეკონომიკისა და პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე.

მაგრამ, იკითხავ შენ, საიდან გაჩნდა ეს იდეა, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფო არის ჩვენი გადარჩენა? ეს იდეა, ისევე, როგორც ბევრი სხვა, რუსების ოკუპაციისას, უკვე საბჭოთა ოკუპაციის შემდეგადაა გაჩენილი, ისევ რუსეთის და ისევ იდეოლოგიური მოსაზრებით. ამის შესახებ შემდეგ წერილში მოგიყვები.

წერილი მეცხრე: დასკვნითი წერილი განათლებული პატრიოტიზმის შესახებ

გამარჯობა,

წინა წერილებში არ მომიწერია განათლებული პატრიოტიზმის მეთოდზე. არადა, ის ნამდვილად უნდა არსებობდეს, თუკი ის რაციონალური არჩევანია. მეთოდი ცხადია არსებობს, და ყველა დანართი, რომელიც ჩვენს დღევანდელ იდენტობაში გაბატონებულ უმსჯელობებზე ჰყვება, ამ მეთოდითაა კონსტრუირებული.

არსებობს ოთხი ძირითადი კითხვა, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა განათლებული პატრიოტიზმის მიზანი, რომლის შესახებაც უკვე მოგწერე: განათლებული პატრიოტი ეძებს მისთვის და მისი გარემოსთვის საუკეთესო გზას ბედნიერებისკენ, ისე, რომ არ იქონიოს ჯერ სხვებზე, ხოლო ამის შედეგად, საკუთარ თავზე, დამანგრეველი გავლენა. ეს კითხვები, ამავე დროს, კრიტიკული აზროვნების ძირითადი კითხვებია და მათი გამოყენება მოხერხებულია ისტორიული თუ თანამედროვე ფაქტებისა და ნარატივების ანალიზისას. ეს კითხვებია:

1. რა არის ამ მოვლენის [ასე, ასეთი წესით გადმოცემის] მიზანი?

2. რა არის ამ მოვლენის [ასე, ასეთი წესით გადმოცემის] მიზეზი?

3. შესაძლებელია თუ არა ამ მოვლენის კვალი, ანაბეჭდი ჩვენს გარშემო რეალობაში ვიპოვოთ, თუ ამ მოვლენის შესახებ ნარატივი მხოლოდ მთხრობლის სუბიექტურ შეხედულება/მსჯელობას ეყრდნობა?

4. შესაძლებელია თუ არა ამ მოვლენის ნამდვილობის/მცდარობის დადასტურება?

ეს ის კითხვებია, რომლებიც დაგეხმარება შენს გარემოში გარკვევაში და საბოლოოდ, გაპოვნინებს იმ ოპტიმალურ გზას, რომელიც შენი ბედნიერებისათვის საუკეთესოა და ამავე დროს თანხვედრაშია შენი სამშობლოს გაუმჯობესებასთან. კიდევ ერთხელ - ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შენ თვლი, რომ შენს თავისუფლებასა და ბედნიერებას შენი სამშობლოს გამოყენებით უნდა მიაღწიო.

როგორც მოგწერე, არსებობს სხვა არჩევანიც, მაგრამ ამ დროს უნდა შეურიგდე იმას, რომ შენ სრულად ვერ გამოიყენებ თავისუფლებისა და ბედნიერების შესაძლებლობებს.

რუსეთი მტერია. რუსეთმა გადაგვარჩინა. რუსეთით შემოვიდა ევროპა. რუსეთის გარეშე დავიღუპებოდით. რუსეთმა განვითარებაში უკან დაგვწია. რუსეთს უკავშირდება ჩვენი მომავალი. რუსეთს მაქსიმალურად უნდა დავშორდეთ, ისე ვერ გადავრჩებით. რუსები რომ არ ყოფილიყვნენ, ერთიანი საქართველო არ იქნებოდა.

დარწმუნებული ვარ, ფიქრობ, რომ საქართველოსა და რუსეთის ინტენსიური ურთიერთობა XVII საუკუნეში იწყება, რომელიც 1801 წელს ქართლის სამეფოს ოკუპაციითა და მომდევნო 66 წლიანი ომით გაგრძელდა (1867 წელს გაუქმდა სამეგრელოს სამთავრო).

უნდა გითხრა, რომ მთლად ეგრე არ არის საქმე. რუსეთის სამეფოს დამფუძნებლები XIII საუკუნეში გამოჩნდნენ საქართველოს საზღვრებთან და მათ მონღოლები ერქვათ. XIV-XV საუკუნის ევროპისა და აზიის რუკები რომ ნახო, იქ აშკარად ჩანს, რომ დღევანდელი რუსეთის ტერიტორია სხვადასხვა ურდოს უკავია, რუსეთი კი, ანუ, კიევის რუსეთი იმ მიდამოებშია, სადაც დღეს უკრაინაა,

ხოლო დიდ ქვეყანას, რომელშიც კიევის რუსეთი შედის, ლიტვის სამთავრო ჰქვია.

მონღოლები XIII საუკუნიდან ცდილობდნენ შემოსულიყვნენ საქართველოში, ბოლოს, რუსუდან მეფის გარდაცვალების შემდეგ (რომელიც, ევროპული წყაროების თანახმად, ოცი წლის განმავლობაში არ უშვებდა მონღოლებს საქართველოში), ისინი შემოვიდნენ უბრძოლველად, სავარაუდოა, ერისთავების მოსყიდვა/გადაბირებით დაიკავეს აღმოსავლეთ საქართველო. დასავლეთ საქართველო, როგორც ჩანს, არ დაუკავებიათ, ყოველ შემთხვევაში, არანაირი მონღოლური ტოპონიმი დასავლეთ საქართველოში შემორჩენილი არ არის (აღმოსავლეთ საქართველოში მრავლადაა, როგორც გითხარი: არღუნი, ჟინვალი, შესაძლებელია ცხინვალიც, თუმცა ამ უკანასკნელის ეტიმოლოგიის სხვა ახსნაც არსებობს: ქრციხნვალი, ანუ, რცხილების ადგილი).

მონღოლების მიერ საქართველოს დამორჩილების შემდეგ ქართველები ხშირად მონაწილეობდნენ მონღოლების საომარ ექსპედიციებში. ამბობენ, რომ სწორედ მონღოლებთან ერთად ბრძოლის გამო, რაღაც პერიოდი იერუსალიმს ქართველები აკონტროლებდნენ.

XIV საუკუნეში გლობალურად კლიმატური პირობები შეიცვალა, მონღოლებს აღარ შეეძლოთ მაღალ მთებზე გადასასვლელების კონტროლი, რითაც ისარგებლეს მაღალმთიანი ქვეყნების მმართველებმა (ბალკანეთი, საქართველო) და მონღოლების ვასალობაზე უარი თქვეს. ამის შემდეგ, XVI საუკუნემდე მონღოლებს საქართველო არ შეუწუხებიათ: მონღოლების ურდო რამდენიმედ დაიშალა და ერთმანეთში არკვევდნენ საქმეებს, ასევე, მათ მეზობელ ლიტვის სამთავროსთან და კიევის რუსეთთან.

XVI საუკუნის ბოლოს, როგორც ჩანს, ურდოებს შორის მოხდა შეთანხმება/გაერთიანება და მათმა მეთაურმა, რომელიც შენთვის ივანე მრისხანეს სახელითაა ცნობილი, დაიწყო დარიალის ხეობის მიმდებარედ ციხესიმაგრეების შენება. გეცნობა ხომ ვითარება? ისევ დარიალის ხეობაა საქმეში, რომელიც, როგორც გახსოვს, სულ ჩაკეტილი უნდა იყოს. ამის შემდეგ, ჯერ მორიდებულად, მონღოლების ელჩობამ, რომლებიც უკვე დიდი ხანია ქრისტიანები იყვნენ, დაიწყეს საქართველოში ინფილტრაცია.

XVII საუკუნეში პეტრე პირველის მიერ კიევის რუსეთის დამორჩილებამ, რუსეთის დასახელების და ისტორიის

მიტაცებამ საშუალება მისცა აწ უკვე რუსებს, კვლავ მიეპყროთ ყურადღება ცენტრალური კავკასიისკენ, როგორც დიდი სიმდიდრის და სავაჭრო გზების გადაკვეთაზე მყოფი ქვეყნისაკენ.

ამ დროს კი საქართველოში რა ვითარებაა: საქართველო გაყოფილია ორ პროტექტორატად, რომელთაგანაც აღმოსავლეთ საქართველოს სპარსეთი აკონტროლებს, ხოლო დასავლეთს - თურქეთი. ამის დამატებით, მთელი რიგი მიწებისა, რომლებიც დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში ქართველი ერისთავების გამგებლობაში იყო, უბრალოდ ანექსირებულია. ქართველი მეფეების მცდელობამ ირან-თურქეთის ინტერესებზე ეთამაშა და ასე აღედგინა სტატუს-კვო - არ გაამართლა. საბოლოოდ, ორივე იმპერია საქართველოს „საკუთარი“ ნაწილით კმაყოფილდებოდა.

ამ დროს ცენტრალური კავკასიის სცენაზე შემოდის ახლად რებრენდირებული რუსეთი, რომელიც ქრისტიანულია, რომელსაც ევროპასთან კარგი ურთიერთობა აქვს, და გამოთქვამს ინტერესს საქართველოს მიმართ. საქართველოში ამ დროს რუსებთან სპეციფიკური დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო: ერთის მხრივ, მათ ახსოვთ და იციან

მონღოლები, მაგრამ, მეორე მხრივ, ისიც ახსოვთ, როგორ იბრძოდნენ ქართველები მონღოლებთან ერთად და ამ ბრძოლის შედეგად მიღწეული წარმატებები. გარდა ამისა, დასავლეთ საქართველოს დიდგვაროვნებმა იციან, რომ ის ხალხი, რომელიც მათ მეზობლად, შავი ზღვისპირეთში ცხოვრობს და ხშირად მათთან ერთად ებრძვის თურქებს, ასევე რუსები, კაზაკები არიან.

მიუხედავად იმისა, რომ ევროპას კარგად ახსოვდა, რას ნიშნავს საქართველო სავაჭრო გზებისათვის, არავის უნდოდა თურქეთთან მის გამო კონფლიქტში შესვლა, თან, თურქეთის მიერ კონტროლირებულ შავ ზღვაზე. ამ დროს გამოჩნდა რუსეთი, რომელსაც ორივეს, თურქეთისა და სპარსეთის დამარცხება და მათი გავლენის სფეროების განაწილება უნდა.

აქედან იწყება ერეკლე მეფის ისტორია, რომელსაც არცერთი არასწორი ნაბიჯი არ გადაუდგამს პოლიტიკაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველო ძალიან რთულ ვითარებაში მოახვედრა: ერეკლე მეორე, როგორც ჩანს, ვარაუდობდა, რომ თუ ის რუსეთს მიზნების - თურქეთის და სპარსეთის შევიწროებაში დაეხმარებოდა, ამით საკუთარ, საქართველოს

ისტორიულ ტერიტორიებს დაიბრუნებდა. ბოლო-ბოლო, დარიალის კარი ისევ ქართველებს ეჭირათ და მისი ჩაკეტვა ყოველთვის შეეძლოთ. ერეკლე და თეიმურაზი (მამამისი) დიდ პროექტებს სთავაზობდნენ რუსებს, სპარსეთში გადატრიალების და საკუთარი (რუსებისთვის სასურველი) კანდიდატურის დასმის ჩათვლით. საბოლოოდ, ერეკლეს მიზანი რუსების დახმარებით იმ დიდი, ორ ზღვას შუა არსებული საქართვლოს აღდგენა იყო, ტრაპიზონიდან კასპიის ზღვის დასავლეთ საქართველომდე.

სავარაუდოა, რომ ამიტომ დასთანხმდა ერეკლე მეორე გეორგიევსკის ტრაქტატის კაბალურ პირობებს. იცოდა, რომ როცა დასჭირდებოდა, ჩაკეტავდა დარიალსაც და არღუნსაც. არღუნის ხეობაში მაცხოვრებელი ხევსურების უპირობო ერთგულება კარგად გამოიყენა მოგვიანებით რუსეთმა, როდესაც შამილთან საბრძოლველად გრიგოლ ორბელიანი, ერეკლე მეორის შვილიშვილი გააგზავნა: ხევსურები უპირობოდ დაემორჩილნენ მეფე ერეკლეს შვილიშვილს და თავი შეაკლეს დაღესტნის იმამთან ბრძოლას.

დარიალის მოხევეებიც ასევე ერთგულობდნენ ერეკლე მეორეს და მათშიც არ ეპარებოდა ეჭვი. მოკლედ,

მიუხედავად იმისა, რომ ერეკლე მეორემ კარგად იცოდა, რომ დარიალი ჩაკეტილი და არღუნი კონტროლირებული უნდა ყოფილიყო, მაინც შემოუშვა დარიალიდან რუსების რაზმები, მართალია, ოფიციალურად დასახმარებლად, მაგრამ მაინც. მიუხედავად იმისა, რომ დარიალი ერეკლეს არ გაუხსნია, რუსებს წვდომა გაუჩნდათ დარიალის მცველებზე და როგორც ჩანს აქტიურად დაიწყეს მოკავშირეების ძებნა.

ერეკლე მეორემ ორი რამ ვერ გათვალა:

1. არ ელოდებოდა სპარსეთიდან არანაირ საფრთხეს, იმიტომ, რომ სპარსეთში შიდა დაპირისპირებები და შეტაკებები იყო. ვერ გათვალა, რომ რუსები დააფინანსებდნენ აღა-მაჰმად ხანის ექსპედიციას;

2. საკუთარი სიკვდილი: ერეკლე მეფის სიცოცხლის შემთხვევაში, ერეკლეს გეგმა, ამოექოლა რუსების შემოსასვლელი, იმუშავებდა.

როდესაც მოგვიანებით, გიორგი XII-მ გადაწყვიტა დარიალის ჩაკეტვა, აღარ გამოუვიდა. ხევის მოურავმა გაბრიელ ჩოფიკაშვილმა გაუხსნა დარიალი რუსებს. შემდეგ, ამას მოჰყვა ოთხმოცწლიანი ომი რუსეთსა და საქართველოს შორის; მართალია, ამ ომებიდან ყველა

არ იყო საქართველოს სამეფოს აღდგენაზე მიმართული, მაგრამ უმეტესობა რუსების წინააღმდეგ იყო. 1880 წლისთვის საქართველოს ყველა სამთავრო და რეგიონი დამორჩილებული იყო. ამ დამორჩილებას რუსეთი ისეთივე მეთოდებით ახორციელებდა, როგორც დღეს ომობს უკრაინაში: ქალებსა და ბავშვებზე ძალადობითა და მათი ხოცვით.

თუმცა, ირონიით უნდა ითქვას, რომ რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-სპარსეთის ომების შედეგად კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს, ბათუმისა და ტაო-კლარჯეთის ტერიტორიები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა - ის ტერიტორიები, რომლის დაბრუნების იმედიც ერეკლე II-ს უნდა ჰქონოდა.

საქართველოს სამწლიან (1918-1921) თავისუფლებას რუსეთმა კიდევ უფრო ბრუტალური ანექსიით უპასუხა: რომ არ განმეორებულიყო 1801-1880 წლების ომები, რუსეთის იმპერიის გამოცდილების გაზიარებით, 1921დან 1940 წლამდე საბჭოთა რუსეთმა ყველა გაანადგურა, ვისაც კი რამე წინააღმდეგობის უნარი ჰქონდა, როგორც იდეური, ასევე, ფიზიკური.

ამის მიუხედავად, 1993 წლიდან, საბჭოთა კავშირის დაშლიდან და კვლავ დამოუკიდებლობის მოპოვებიდან

სამი წლის შემდეგ, რუსეთმა კვლავ დაიწყო საქართველოს ოკუპაციის პროცესი, რომელიც დღესაც გრძელდება. შეიძლება ეს ოკუპაცია ისეთი მასშტაბური არ არის, როგორც 1801-1880 და 1921-1940 წლების ოკუპაციები, მაგრამ ბევრად უფრო მძიმე საზოგადოებრივი ცნობიერების ფონზე მიმდინარეობს, რომლის შესახებაც შემდეგ, ბოლო წერილში მოგიყვები.

წერილი მეათე: თანამედროვე საქართველოს ცხოვრების საბჭოთა წესი: პლაგიარიზმი

ალბათ, ხვდები, რომ რუსეთს მძიმე მემკვიდრეობა უნდა დაეტოვებინა საქართველოში. მართალი ხარ და ეს მემკვიდრეობა ყველაფერში ჩანს: თუნდაც - სახელმწიფოს უკიდურესი ცენტრალიზაცია, რეგიონების როლის და ფუნქციის ნიველირება, ეკონომიკის ძალიან მცირე მასშტაბით თავისუფლება, კერძო საკუთრების შეზღუდული ფორმით არსებობა და მისი ძალიან მცირე წილი სახელმწიფოში არსებული საკუთრების მთლიან მოცულობაში და ასე შემდეგ.

მაგრამ, მთავარი დანატოვარი, ვფიქრობ, და მინდა რომ ამას ყურადღება მიაქციო, არის პლაგიარიზმი: ანუ, საქართველოს საზოგადოების მიერ ხელშეწყობილი და მიღებული ქცევის, იდეების, შინაარსების კოპირების ტრადიცია. რომ მიმოიხედო, ამას ყველგან შეამჩნევ; პოლიტიკურ ცხოვრებაში, აკადემიაში, ბიზნესში. ასე ცხოვრება ადვილია: უკვე გამოცდილისა და აპრობირებულის კეთება უფრო, ვიდრე ახალი იდეების, ქცევის დამკვიდრება. ამ უკანასკნელმა შეიძლება მნიშვნელოვანი მარცხიც განგაცდევინოს.

მაგრამ, რატომ მემკვიდრეობა? იკითხავ შენ. კი, ასეა ალბათ, მაგრამ, ხომ შეიძლება ეს საზოგადოებრივი თვისება თვითონვე განვივითარეთ? რაღა მაინცდამაინც რუსული მემკვიდრეობაა? აგიხსნი რატომ: როდესაც ქვეყანა სუპერცენტრალიზებულია, იქ უნარებზე დამყარებული წარმატება უნდა დაივიწყო: ასეთ სისტემებში ადამიანები წარმატებულები ხდებიან ნაცნობობის, ნათესაობის, მეგობრობის, ბოლო-ბოლო, ქრთამის გამო. ამიტომ, ამ სისტემებში, რაც უფრო დიდი ხანი არსებობს სისტემა, მით უფრო მცირეა მის მმართველობაში იმ ადამიანების წილი, ვისაც შეუძლია ორიგინალური, თამამი აზროვნება, არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება.

საბოლოოდ, ასეთი სისტემების მმართველობებში უბრალოდ არაშემოქმედებით, საშუალო ინტელექტისა და უინიციატივო ადამიანებს ვიღებთ, როგორც ეს მოხდა საბჭოთა კავშირში, როგორც ეს დღეს ხდება რუსეთში და როგორც ეს, სამწუხაროდ, დღეს ხდება საქართველოში. სისტემა ასე მუშაობს: იმისათვის, რათა ცენტრალიზაცია შეინარჩუნოს, მეტი საშუალო ინტელექტის ადამიანი სჭირდება, რომელთა მთავარი თვისებაც მორჩილება უნდა იყოს. მორჩილება, შემოქმედებითობა და მაღალი

ინტელექტი კი იშვიათადაა ერთ ადამიანში თავმოყრილი.

ამიტომ, ეს ხალხი, ვისი მთავარი თვისებაც მორჩილება და კლიენტარიზმია (ანუ, ნაცნობობა, ჩაწყობები) საკუთარი მოქმედების გზად კოპირებას ირჩევს. ცდილობს პირდაპირ გადმოიტანოს სხვაგან მომხდარი, დაწერილი, გაკეთებული ამბები და საკუთარ მიღწევად გაასაღოს. ეს კოპირება ჯერ მმართველობის დონეებზე იწყება და მერე სრულიად მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას მოიცავს.

საბჭოთა კავშირი პლაგიატის მსოფლიო ჩემპიონი იყო: კულტურა, მეცნიერება, სამხედრო საქმე - გამსჭვალული იყო პლაგიარიზმით. ის, ვინც შემოქმედებითობას და ახლის ძიების უნარს ამჟღავნებდა, ვერ პოულობდა კარიერულ წინსვლას და ბოლოს ან ციხეში, ან საზღვარგარეთ გასახლებით ამთავრებდა.

აღსანიშნავია, რომ დიდი მეცნიერების უმეტესობა, რომლებიც სსრკ-ში იყო, წინა, ცარისტული, რუსული იმპერიის დროიდან მოდიოდნენ და იქ ჰქონდა განათლება მიღებული.

ბუნებრივია, თავიდანვე ასე კოპირებით მიღებული წარმატებული პროექტები ცოტა. და ბოლოს უბრალოდ, არცერთი წარმატებული პროექტი აღარ არსებობს. ესა ცენტრალიზაციის ბუნება, რომლის განუყოფელი ნაწილი, ადრე თუ გვიან, პლაგიარიზმი ხდება.

სწორედ იმიტომ, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფო სულ უფრო და უფრო მეტ საშუალო ნიჭის და უნარის ადამიანს აგროვებს, სწორედ იმის გამო, რომ მათი შერჩევის კრიტერიუმები ჩაწყობაზე და კორუფციაზეა დამყარებული.

დავუშვათ დაგეთანხმე, მკითხავ შენ, ალბათ, მართალი ხარ, იმდენ კოპირებას და პლაგიატს ვაწყდებით ჩვენ, სტუდენტები, როდესაც უნივერსიტეტებში ვსწავლობთ, მაგრამ, როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ამ მემკვიდრეობას? როგორ უნდა დავძლიოთ ეს საზოგადოებრივი წესი, რომელიც უკვე ჩვევად იქცა?

მართალი ხარ. რთულია. ასე პირდაპირ, ვებრძოლოთ პლაგიარიზმს, არ გამოვა. ეს იგივეა, ებრძოლო ქურდობას ქურდების თემში და მიწათმოქმედებას მიწათმოქმედთა სოფელში. ის არის შესაცვლელი, რაც პლაგიატიზმს კვებავს და ასაზრდოებს: სუპერცენტრალიზებული სახელმწიფო.

მხოლოდ ამ სახელმწიფოს შეცვლით და თავისუფლების პირობების თავიდან დაწესებით გახდება შესაძლებელი ამ ქვეყანაში ბედნიერების მიღწევა. მაგრამ, იბრძოლებ თუ არა ამისათვის, აირჩევ თუ არა განათლებული პატრიოტის გზას, თუ აირჩევ ამ ქვეყნიდან წასვლას, რადგანაც, ნებისმიერ ევროპულ ქვეყანაში და მით უმეტეს აშშ-ში, ბევრად მეტი თავისუფლების პირობებია შენთვის ახლა, ვიდრე შენს სამშობლოში, ეს მხოლოდ შენზეა დამოკიდებული.

ეს არჩევანი რთულია: მართალია, განათლებული პატრიოტიზმი გეუბნება, რომ შესაძლებელია ამ ქვეყანაში მიაღწიო შენთვის და შენი თანამოქალაქეებისათვის თავისუფლებისა და ბედნიერების მაქსიმალურ პირობებს, მაგრამ ამას, სავსებით შესაძლებელია, არჩიო ნაკლები, მაგრამ გარანტირებული პირობები სხვა ქვეყანაში. ეს შენი არჩევანია. მართალია, განათლებული პატრიოტიზმის გზის არჩევით შეიძლება ბევრი რამ დაკარგო, არსებული თავისუფლებაც კი, მაგრამ, ვერასოდეს ვერ მოიპოვებ აქ შესაძლებელ თავისუფლებას სხვაგან.

მეათე წერილის დანართი: ქრისტიანობა და საქართველო

ქრისტიანი და ქართველი ერთი და იგივეა. ქრისტიანობამ გადაგვარჩინა. ქრისტიანობის გარეშე არ ვიქნებოდით. ქრისტიანული ეკლესია მუდამ იბრძოდა საქართველოსათვის და საქართველოს ინტერესებისათვის. ქართული მართლმადიდებლობა ყველაზე უფრო მეტად დაზარალდა კომუნისტური რეჟიმის დროს. ქართული მართლმადიდებლობა გადაარჩენს საქართველოს. ქართული მართლმადიდებლობა დაღუპავს საქართველოს.

საქართველოს დამოუკიდებელი ეკლესია შეიქმნა ვახტანგ გორგასლის დროს, როდესაც მან საქართველოს ეკლესიას ავტოკეფალია მოუპოვა, ანუ, დამოუკიდებლობა აღმოსავლეთ რომის იმპერიიდან და მნიშვნელოვანი რაოდენობის მონასტრები ააშენა საქართველოს ტერიტორიაზე.

აი, აქ უკვე ვაწყდებით ერთ მნიშვნელოვან უმსჯელობას, რომელიც ჩვენს ყოველდღიურობაშია: საქართველოში გავრცელებულია წარმოდგენა, რომ მეფეები და დიდებულები ეკლესიებს მხოლოდ და მხოლოდ რწმენის

განმტკიცებისათვის აშენებდნენ. ისევე, როგორც ამ წერილების დასაწყისში, ხოხბისა და თბილისის შემთხვევაში, მინდა გკითხო: რწმენისთვის ზრუნვა საკმარისია ამ რაოდენობის თანხების დახარჯვისათვის? და თუ რწმენისთვის აშენებდნენ, რატომ იყო ყველა ქართული მონასტერი სავაჭრო გზებზე და მათ შენაკადებზე განლაგებული?

აქვე უნდა გითხრა, რომ დღევანდელი ჩვენი წარმოდგენა, რომ მონასტერი ეკლესიაა, არ არის მართებული. ყველა ეკლესიას, რომელსაც დღეს მონასტრის სახელით ვიცნობთ, გარშემო უზარმაზარი ინფრასტრუქტურა ჰქონდა. სამეურნეო, სამხედრო, საცხოვრებელი.

როდესაც რუსეთმა საქართველოს პირველი ოკუპაცია მოახდინა, იმის შიშით, რომ ქართველებს მონასტრები წინააღმდეგობის პუნქტებად არ ექციათ, მხოლოდ ეკლესიები დატოვეს და სხვა დანარჩენი დაანგრიეს. როგორი იყო შუა საუკუნეების ქართული მონასტერი, შეიძლება შეიქმნა წარმოდგენა თუკი გრემს, ხაშმის მთავარანგელოზის, ანდა, ბაგრატის ტაძარს მოინახულებ.

სხვათა შორის, უმეტესობა ციხის ნანგრევიც, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა, ასევე რუსების დანგრეულია. მაგალითად, უჯარმის ციხე, რომელმაც V-დან XIX საუკუნემდე გაძლო და მერე რუსებმა ააფეთქეს. მაგრამ, ახლა ეს არ არის ჩვენი საუბრის თემა.

დავუბრუნდეთ მონასტრებს. არ ვიცი, ეს იდეა გორგასალს თუ ვინმე სხვას ეკუთვნოდა, მაგრამ, აშკარად გორგასალის დროს დაუკავშირდა სავაჭრო გზა და მონასტერი ერთმანეთს. ამას, ალბათ, ორი მთავარი ფუნქცია ჰქონდა:

1. გზის კონტროლი დამოუკიდებელ ინსტიტუტს ეწარმოებინა, და არა მხოლოდ ერისთავებს;

2. გაეჩინა კიდევ ერთი ინსტიტუტი, ფულიანი და ძლიერი, რომელიც მას დაემორჩილებოდა.

რამდენად გაამართლა ამ მიზანმა არ ვიცით, სამაგიეროდ ვიცით, რომ ამ მოქმედებას წინ უძღოდა მიქაელ მთავარეპისკოპოსთან კონფლიქტი, რომელიც, როგორც ჩანს, სპარსელების მხარე ეჭირა. ამ კონფლიქტის შედეგი იყო ქართლის ეკლესიის ავტოკეფალია და ეკლესიის მეფის ხელისუფლებისათვის დაქვემდებარება. როგორც ჩანს,

მონასტრებისა და სავაჭრო გზის გადაბმა ერთმანეთზე ამის შემდეგ მოხდა.

შემთხვევითი არც ის იყო, რომ გორგასალმა გარკვეულ წილად კონსტანტინე დიდის საქციელი გაიმეორა (რომი და კონსტანტინეპოლი) და თბილისში გადმოსვლის შემდეგ საეპისკოპო ქალაქად მცხეთა დანიშნა: ამით დააშორა ეკლესია პოლიტიკურ ცენტრს (თბილისს) როგორც პოლიტიკური მოთამაშე და ამავე დროს, დიდი მნიშვნელობაც მიანიჭა. ამავე დროს, თბილისის ეპისკოპატიც (თბილელი ეპისკოპოსი) გააძლიერა, როგორც სავარაუდო მოკავშირე მცხეთის დაპირისპირების შემთხვევაში. ისიც გემახსოვრება, საქართველოს ეკლესიის მეთაურები, როგორც წესი, სამეფო ოჯახები დან და სამეფო ხელისუფლების დანიშნულები იყვნენ.

ამის შემდეგ საქართველოს ეკლესია, გორგასალის დადგენილი წესის თანახმად, აქტიურად მონაწილეობდა პოლიტიკაში. პოლიტიკაში მონაწილეობა საქართველოს ეკლესიისათვის ბუნებრივი გახდა, რადგანაც, ის, დაარსების დღიდანვე, პოლიტიკაში იყო და პოლიტიკის გამო წარმოიშვა.

თუმცა, პოლიტიკური აქტორობის მიუხედავად, ეკლესიას პოზიტიური ავტორიტეტი ჰქონდა საქართვლოს მოსახლეობაში: იმდენად, რამდენადაც მისი შემოსავალი არ იყო სრულად გლეხების მუშაობაზე დამოკიდებული (მთავარი წყარო - სავაჭრო გზები), საეკლესიო გლეხები ნაკლებ ეკონომიკურ წნეხს განიცდიდნენ ეკლესიის მხრიდან, ვიდრე საერო დიდგვაროვნების მფლობელობაში მყოფნი.

ამიტომ, როდესაც საქართველოს ისტორიის კონტექსტში საქართველოს ეკლესიას განვიხილავთ, არ უნდა დაგვავიწყდეს მისი პოლიტიკური კონტექსტი, რომელიც მას სულ ჰქონდა და დღესაც აქვს.

ისევე, როგორც დიდი ფეოდები, საქართველოს ეკლესიაც ხშირად ცვლიდა ლოიალობას და სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგის მხარეს გადადიოდა: ასე იყო დავით აღმაშენებლის დროს, გიორგი ბრწყინვალეს დროს და ასევე, ერეკლე მეორის დროსაც. ერეკლეს შვილი, ანტონ კათალიკოსი, რომელიც გამოირჩეოდა რომის ეკლესიასთან კარგი ურთიერთობით, დათანხმდა ქართული ეკლესიის რუსული მართლმადიდებლობის გამგებლობაში

შეყვანას, რის საზღაურადაც რუსეთში მიწები, პენსია და ეკატერინე მეორის ნაქონი ექვსცხენიანი ეტლი მიიღო.

ამ შეერთებას უბრძოლველად არ ჩაუვლია: ცხადია, იყვნენ რუსეთის ოკუპაციის მოწინააღმდეგე სასულიერო იერარქები, რომლებიც რუსებმა უბრალოდ, აწამეს და სიკვდილით დასაჯეს. იყო ე.წ. საეკლესიო აჯანყებაც, რომელიც ქართულ ისტორიის წიგნებში „იმერეთის აჯანყების" სახელითაა ცნობილი. ამ აჯანყებას ბიძგი მისცა საქართველოს საეკლესიო საგანძურის რუსეთში გადასადნობად გატანამ.

მაგრამ, ამ აჯანყების შემდეგ, როდესაც აჯანყებულები დახოცეს/გააციმბირეს, საქართველოს ეკლესიამ მორჩილად დაიწყო რუსული ეკლესიის ქვეშ ფუნქციონირება, რაც უდრტვინველად გაგრძელდა 1921 წლამდე. ქართულ ეკლესიებში წირვა რუსულად მიმდინარეობდა. ქართული წირვა-ლოცვას მხოლოდ მცირე რაოდენობის კათოლიკე ბერები ეწეოდნენ. შესაბამისად, ის ქონება, რომელზეც დღეს მართლმადიდებელი ეკლესია აპელირებს, რომ კომუნისტებმა წაართვეს და მის დაბრუნებას/რეპარაციას ითხოვს, იყო არა მათი, XIX საუკუნის განმავლობაში, არამედ, რუსული

მართლმადიდებლური ეკლესიის. რაც შეეხება 1918-21 წლებს - ამ წლებში ხელისუფლებამ ეკლესიის ქონების სრული ნაციონალიზაცია მოახდინა.

ამიტომ, როდესაც საქართველოს ეკლესიაზე ვსაუბრობთ, მკაცრად უნდა განვასხვაოთ ეკლესია, როგორც პოლიტიკური აქტორი და ეკლესია, როგორც სულიერი ხსნის გზა. პირველს არაფერი კავშირი არ აქვს მეორესთან და მეორეს - პირველთან. თუმცა, ორივეს ერთი და იგივე სახელი ჰქვია და ამიტომ, ხშირად იწვევს დისკურსულ დისონანს, რომლის შედეგადაც ხშირად რელიგიურ პატრიოტიზმს ვიღებთ.

წიგნები, რომელიც პირველ რიგში უნდა წაიკითხო, თუკი ამ წერილებმა დაგაინტერესა:

ივანე ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორია“

თამაზ ბერაძე “ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“

მანანა გაბაშვილი „აფრიანი ხომალდები სვეტიცხოვლის კედელზე“

ბექა ჭიჭინაძე „ევროპული წყაროები პრესვიტერ იოანეს და სხვა ქართველი მონარქების შესახებ“

ლაშა ბაქრაძე „საქართველო რუკებზე“

გიგი თევზაძე „სხვა ისტორია“

ეს წიგნი მხოლოდ 100 ეგზემპლარად დაიბეჭდა და ხელახლა აღარ გამოიცემა ამ სახით. ყოველ ნაბეჭდ ეგზემპლარს აქვს უნიკალური ნომერი. წიგნის ელექტრონული ვერსია უფასოა და შეგიძლიათ ნახოთ აქ: www.criticallog.org

წიგნის ამგვარად გამოცემა ეფუძნება თეორიას, რომლის მიხედვითაც, ჩვენს სამყაროში ქაღალდის წიგნი თანდათან ექსკლუზიური სიამოვნება და საკოლექციო ღირებულების მქონე იქნება წიგნის ელექტრონული ვერსია კი უფასო და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდება.

კრიტიკული აზროვნების სკოლის წიგნები 2022